თებერვალი
1929 წ.
№ 38

საქართველოს დამოუკიდებელი

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
FÉVRIER
1929—№ 38

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

მ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—ტროცკის პროგნოზი.
გ—უ—ზოგი რამ.
***—ახალი ეტაპი ჭიათურის შავი-ქვის მრეწვ-ში
კაზაბერი—გოგი... ივლიანე...
მუსტაფა ჩოკაევ—თურქესტანში. წერ. მეხუთე.
უცხოეთის მიმოხილვა.
საბჭოთა საქართველოში.
რას სწერენ ბოლშევიკებზე.
უკრაინელთა შორის.
ქართული სკოლა ხარბინში. და სხვ.

ტ რ ო ც კ ი ს პ რ ო გ ნ ო ზ ი

ტროცკი ისევ გმირი გახდა, თავის და უნებურათ, და მისი სახელის მატარებელი ოპოზიცია განახლებულ დევნას იტანს. რა დააშავა მან ან მისმა მიმდევრებმა, არავინ უწყის დანამდვილებით, ხოლო მოსკოვის «პრავდა» ერთად ერთ ნივთიერ საბუთად ტროცკის სადირექტივო წერილს არდგენს, 21 ოქტომბრის თარიღით, ალმა-ატიდან საზღვარ გარეთ.

საინტერესოა, რომ ტროცკი ამ წერილში ერთობ ზომიერებას იჩენს და თავის ტაქტიკაში გაფიცვისა და საიდუმლო არჩევნების იქით არ მიდის. ის თვითონვე უწოდებს ამ მოთხოვნას «ნაწილობრივ ლოზუნგს», რითაც მუშების ამოძრავებას ლამობს. მასები პასიური არიანო—ამბობს ის—, მაგრამ, შესაძლოა, მოახლოებული ქარიშხალის გამო, მათ «ნახტომი» გააკეთონ წინ, და ამიტომ ჩვენ, «ბოლშევიკ-ლენინისტები», მზათ უნდა ვიყოთ სათავეში მოვექცეთ მოძრაობას, თუ არ გვინდა მენშევიკ-ესერ-ანარქისტებმა ჩაიგდონ იგი ხელშიო.

ნუთუ მარტო ამეებისთვის გამოაცხადეს ტროცკიზმი კონტრ-რევოლუციად, ამისათვის ექადიან მათ ფიზიკური მოსპობით? არა, რასაკვირველია. ტროცკიზმი, როგორც ასეთი, კარგი ხანია დამარცხდა და არც რაიმე იმედია მისი გამობრუნების... გარდა ერთი შემთხვევისა, შეიძლება, როცა ძალზე დაცხრილური «ძველი გვარდია» ბოლშევიკებისა და მის მიერ ბოლომდის დაბრიყვებული ნაწილი მუშებისა უკანასკნელ ძალას მოიკრეფენ ძლევამოსილ ნამდვილ კონტრ-რევოლუციასთან შესაბრძოლებლათ.

«განათლებულ» ტროცკის სძლია «გაუნათლებელმა» სტალინმა, და ეს იმიტომ, რომ პირველი უკან უპირებდა ისტორიის ჩარხს მოტრიალებას—სამხედრო კომუნიზმისკენ, მაშინ როდესაც მეორე მაინც ნეპს ებღაუჭება, თუმცა ამას «ერთი ქვეყნის» სოციალიზმად ასაღებს.

დამარცხებული ტროცკი, მაშასადამე, იმით უნდა იყოს საშიში, რომ ის, როგორ ფიქრობთ?—თავისას კი არა, სხვის გამარჯვებას წინასწარმეტყველობს. ამ მხრივ მისი ანალიზი მკვეთრია, ის მართლა განათლებულია, იცის ზედმიწევნით, რა ხდება საბჭოთა სამოთხეში, ან რა მომხდარა სხვაგან რევოლუციის ხანაში. ზემოხსენებული მისი წერილის მეტი ნაწილი სწორეთ ამ ანალიზს შეიცავს.

ტროცკი იწყებს იმით, რომ მოსწრებულათ ახასიათებს სტალინის გუგულივით ხტუნვას ერთი ბუდიდან მეორეში, დღეს მარცხენა ფრთას მოპარავს აზრს, ხვალ მარჯვენა ფრთას, და კანონ გარეშე აცხადებს, რიგრიგობით, სწორეთ იმათ, ვისაც აზრი მოპარაო. სტალინის ძალა აპარატშია, ხოლო მისი მომაკვდინებელი სისუსტე იმაშია, რომ უაღოთ ანგარიშობს, აღა კი კლასებიაო.

სანამ ეს კლასები სდუმან, სტალინს შეუძლია ინავარდოს, მაგრამ ჩნდება მემარჯვენე ოპოზიცია, რომელიც საცაა მორთავს ყვირილს: «ახალნო მესაკუთრენო, შეერთდით, თორემ სოციალისტები გაგცარცვავენო». ტროცკი ახასიათებს ამ ოპოზიციის ბელადებს: რიკოვს, ტომსკის, ბუხარინს, კალინინს, ვოროშილოვს, როგორც მხდალთ და გულჩახვეულ დამცველთ ამ «ახალ მესაკუთრეთა». ისინი თუმცა უმცირესობას შეადგენენ აპარატში, მის გარეთ მასებზედ ეყრდნობიან და აქვთ ნამდვილი კლასობრივი ფუძეო.

«ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს—განაგრძობს ტროცკი—, რომ გამარჯვებული კონტრ-რევოლუცია მიიღებს ფაშიზმის ან ბონაპარტიზმის და არას გზით ბურჟუაზიული დემოკრატიის ფორმას, როგორც ზოგიერთი ჭკუათხელი მენშევიკი ოცნებობსო». ასევე ითქმის «კერენშინაზე», რომლის ისტორიული როლი, ისე როგორც «სტალინშჩინასი» იმაშია, რომ

პირველის ზურგზედ ხელისუფლება ბურჟუაზიიდან პროლეტარიატზე გადვიდა, ხოლო მეორის ზურგზედ იგი პროლეტარიატიდან ისევ ბურჟუაზიაზე გადავიო.

რევოლუციისგან ძირიან-ფესვიანათ შერყეულ ქვეყანაში დემოკრატია შეუძლებელიაო—იმეორებს ტროცკი—და მომავალ გადატრიალების დროს ჯარი უპირველეს როლს ითამაშებსო. ტროცკის მოჰყავს რიკოვის ერთი ფრაზა სტალინის მიმართ: «თუ ერთხელ კიდევ მიგიმართავს განსაკუთრებული ზომებისთვის (გლეხების წინაამდეგ), ჯარს შეუძლია აჯანყებით გიპასუხოსო». მეორეს მხრით, სამხედრო კომისარს ვოროშილოვს წამოუყრანტალებია ერთ კრებაზედ: «თქვენ, მუშებო, ნამეტანს ნუ გაიდებთ თავს, თორემ, გახსოვდეთ, ჩემს ზურგს უკან დიდი ძალა სდგასო».

მაშ ბონაპარტისთვის საქმე არ შეჩერდებაო—ასკვნის ტროცკი; რა უყოთ, რომ ვოროშილოვი თუ ბუდიონი კაცუნებია, გარდა ნაპოლეონ პირველისა, ნაპოლეონ მესამეც ხომ იყოვო—განმარტავს ის—და მოჰყავს სტალინის ერთი ფრაზა: «ტალახიდან თავადს შექმნიან», თუ დასჭირდათ, გაბატონებული კლასებიო.

აი, მოკლეთ და სქემატიურათ ტროცკის მსჯელობა და პროგნოზი. მასში ბევრია მართალი, ჭკუასთან ახლო. აბა ვინ არ დაიჯერებს, რომ სტალინი ემყარება აპარატზედ და არა კლასებზედ; ან კიდევ, რომ რუსეთი დიდი კრიზისის წინა სდგას და ბოლშევიზმის მემკვიდრედ დემოკრატიზმი წარმოუდგენელია. მხოლოდ ჩვენ არ გვგონია, რომ ისე ადვილათ მოხდეს ბოლშევიზმის ბონაპარტიზმზე გადასვლა. წითელი ჯარის შემქნელი ტროცკი ცოტა მხედრულათ მსჯელობს ამ შემთხვევაში; თან გატაცებულია ევროპის მაგალითებით. რუსეთი საფრანგეთი არ არის, თუგინდ ერთ-ნახევარ საუკუნის შემდეგ, არც წითელი ჯარი ნაპოლეონის ძლევამოსილი ჯარი. სანამ ვოროშილოვი, ბუდიონი ან მზგავსი ვინმე «თეთრ ცხენზედ» მოაჯდებოდეს, ბევრი სხვა ამბები დატრიალდება: გლეხთა აჯანყებები, სოფლის ქალაქიდან მოწყვეტა, გაფიცვები, ბარიკადები, დეზორგანიზაცია მიმოსვლის, სურსათის მიწოდების და სხ. რას იქს ამ დროს ჯარი, ადმინისტრაცია, არ არის ძნელი გამოსაცნობი: ოღვევის სტიქია მათშიც შეიჭრება და საბჭოთა კავშირის ხელოვნური მთლიანობაც დაიშლება. «ბოლშევიკური გვარდიაც», როგორც ზევითა ვსთქვით, იარაღს არ დაყრის უბრძოლველათ...

მაგრამ ამეებზე არა გვაქვს ამ ჟამად ბაასი, ჩვენ გვაინტერესებდა, რად სდევნიან ტროცკის და ძმებს, რა დაუშავებიათ. უეჭველათ ისა, რომ ისინი უფრო ურა-ბოლშევიკები გამოდგენ (ტყუილა ირქმევენ ოპორტიუნისტ ლენინის სახელს) და ვერ ითმენენ, როგორ იძირება მათი თვალის წინ «პროლეტარიატის დიქტატურა», რომელსაც პოლიტბიუროო ღალატობს.

ამ რიგათ, ტროცკის ნამდვილი როლი დღეს სტალინის პოლიტბიუროს ბნელ საქმეთა განუწყვეტელ საჯარო მხილებაშია, და ამაში ის მართლაც ძლიერია. ის იცნობს სახელმწიფო თუ პარტიულ მექანიზმის უწვრილმანეს ჭახრაკსაც კი, გუშინ თვით იყო შიდ ერთი ბუმბერაზთაგანი, აქვს სახელი, მას ვერ გამოაპარებენ ვერაფერს, სულ ნიშანში ურტყამს და რა გასაკვირია, რომ ზურგ-ამწვარნი სტალინი და მისი ამყოლნი გაორკეცებული სიბრაზით ილაშქრებენ მის და მთელი მემარცხენე ოპოზიციის წინაამდეგ.

მდგომარეობა კრიტიკულია, ვის ახსოვს ან სოციალიზმი, ან კომუნიზმი, შენობა ირგვლივ გაბზარულია, საცაა უნდა წაიქცეს, და ამ დროს გამომდგარა ტროცკი და გაჰკივის: მათი ბრალია, მათი, სტალინის და მისი დამქაშებისო! განა ვინ მოითმენს ამას? ვერ მოითმენენ მით უფრო, რომ სტალინი ეხლა მარჯვნივ აპირებს გადახრას, ე. ი. რიკოვის და სხვების «გაქურდვას» და, სოციალიზმის სახელით, «მესაკუთრეთა» გულის მოგებას. შინ და გარეთ!

ვუცქერით ამ ტრაღი-კომიკურ სურათს და თან ვამბობთ: ახია მასზე. ტროცკიზე. როცა ის ყოვლად შემძლე კომისარი ბრძანდებოდა, იმასვე სჩადიოდა, რასაც დღეს სტალინს უკიჟინებს. დაუზოგველის სიმკაცრით ებრძოდა ყოველივეს, რაც კი ზმინდათაწმინდას შეადგენს ადამიანისა და ხალხისათვის. ტეროორი ერთად ერთ იარაღად გამოჰქონდა სხვანაირ მოაზრეთა წინაამდეგ, მარტო კრონშტადის აჯანყების სისხლში ჩახრჩობა რათა ღირს მისი «მოღვაწეობიდან». მერმე, როცა შეეცილა სხვებს ხელისუფლებისთვის, მან ვერ გამოიჩინა ვერც გამჭრიახობა, ვერც გამბედაობა და ისე საბრალოთ დაეცა, რომ მტერიც კი სახტათ დარჩა.

საქართველოზე ვერაგ თავდასხმის და მისი თავისუფლების მოსპობის მეცხრე წლის თავზე მეტი არ იქნება მოვიგონოთ, რომ ამ უბედურების მთავარი გმირი იგივე ტროცკი იყო. თვითონ შვილმა ჩაგრულ და დევნილ ერისა, მან არ დაიხია, რუსის ლაშქარი წაესია საუკუნე მონობისგან განთავისუფლებულ ერზე. მხოლოდ ლაჩარი და სინიდის წარეცხილი დასწერდა იმას, რასაც ტროცკი სწერდა შემდეგ: იმპერიალისტების ბუდე საქართველო «ჩექმის ქუსლით» მოვსრისეთო.

მაგრამ არა ნაკლებ საგულისხმიეროა ისიც, რომ დატუსაღებულ ტროცკისტთა შორის დასახელებულია ბუდუ მდივანი და სერიოჟა ქავთარაძე. ეს ხომ ის ვაჟბატონებია, ვინც გასცა მშობელი დედა და თვითონ თავმჯდომარეობდენ მის ლეჩაქის ახდას. შემდეგ ისინი გააბრძანეს, ვითა მავრი, ვითომ ეროვნულ გადახრისთვის და ეხლა კი ტროცკისთან ერთათ ფიქრობენ «თავიდან დაწყებას».

ქართველ ერს არ გაუხარდება, რომ ეს არამზადები სხვისი ხელით ისჯებიან; მას ერჩია თვითონ გაესამართლებია და გაეკრა ისინი სამარცხვინო ბოძზედ. ეს მათ არ აცდებათ, სხვა არა იყოს, მარტო იმისთვის, რომ სამშობლოს ღალატისთვის მათ მხოლოდ ჯილდო და ვერცხლი ერგოთ მოსკოვისგან, და, ნუ იფიქრებენ, რომ დღევანდელი მათი გამოსვლა უკანასკნელის წინაამდეგ შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაეთვლებათ მათ განთავისუფლებულ საქართველოს სამსჯავროს წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგი რამ

სტალინმა ერთი მტერი კიდევ აღმოაჩინა. ეს მტერია ფინანსთა უწყების წარმომადგენელი ფრუმკინი. ეს უწყება დიდი ხანია «არასაიმედოთ» არის მიჩნეული. დაიწყო ეს ჯერ კიდევ მაშინ, როცა მის სითავეში იდგა ცნობილი სოკოლნიკოვი.

და ეს არც გასაკვირია. ფინანსები ხომ ნერვია ფულისა და საქონლის მეურნეობის და რომ ამ მეურნეობამ «გაასწროს განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მოწინავე ტეხნიკას», როგორც ამას კრემლის დიქტატორები ლამობენ, საჭიროა, პირველ ყოვლისა, ფული და კიდევ ფული. ფული კი უცხოეთშია და ბაზარსაც ეძებს. მარა ის საბჭოთა კავშირში არ მიდის და არც წავა. ამის მიზეზია ის ეკონომიური და პოლიტიკური პირობები, რომლებიც ასე თავაშვებულათ ბატონობს იქ და შეუძლებლათ ხდის, ცოტათ თუ ბევრათ. საგრძნობი თანხის დაბანდებას. რჩება მაშასადამე შინაური წყაროები. ეს წყაროებია: მუშათა ენერგიის ზედ-მეტი ექსპლუატაცია, ქალალდის ფულის ზედ-მეტი გამოშვება და რაც შეიძლება მეტი გადასახადის აღება სოფლიდგან. მარა კომუნისტების სავალალოთ, არც ერთ ამ საშვალებას არ ძალუძს დააკმაყოფილოს დასახული მიზანი. ყველა ეს ერთადაც და ცალ-ცალკე პრაქტიკაში არა ერთხელ იყო ნაცადი, მარა არც ერთხელ მაზე დამყარებული იმედი არ გაუმართლებია. პირიქით, მის ცხოვრებაში გატარებას არა ერთხელ შეუქნია ესა თუ ის საშიშროება კომუნისტური დიქტატურისათვის.

შრომის ექსპლუატაციის კიდევ უფრო გაძლიერება, რომ მისი საშვალებით შემცირებულ იქნას წარმოებაზე დანახარჯი, ხოლო გადიდებული ნორმა ზედმეტი ღირებულებისა, რომელიც რჩება მესაკუკთრე-სახელმწიფოს ხელში—ეს ნიშნავს, პირველ ყოვლისა, მუშათა წრეებში უკმაყოფილების გაძლიერებას, რის შედეგი იქნებოდა დაკარგვა იმ უკანასკნელი საზოგადოებრივი ნიადაგის, რომელსაც ჯერ კიდევ ტრადიციის ზე-გავლენით ასე დაქინებით ებღაუჭება კომუნისტური დიქტატურა. კიდევ უფრო საშიშია ზედ-მეტი ფულის ნიშნების გამოშვება, რადგან, ეს ერთი რომ კიდევ უფრო გააძლიერებდა არსებულ ინფლიაციას და მეორეც—რამდენათ უფრო ძლიერი იქნება მისი წუთიერი ეფექტი, იმდენათ უფრო მძიმე და დამღუპველი იქნება მის მიერ გამოწვეული ეკონომიური კატასტროფა. რჩება ისევ გლეხის ჯიბე. მაგრამ ეს ნიშნავს იმას—ამბობს ფრუმკინი—რომ ჩვენ ვაიძულოთ გლეხის მეურნეობა, შეამციროს თავისი წარმოება, დაკმაყოფილდეს თავის საყოფნით, არ იზრუნოს ზედ-მეტზე, გავხადოთ ქალაქები და სამრეწველო ცენტრები შიმშილის მსხვერპლათ, შევიტანოთ საბჭოთა ბიუჯეტში ქრონიკული დეფიციტი და რაც თავი და თავია, შევქნათ ისეთი მდგომარეობა, როცა სოფელი, სულ მცირეს გამოკლებით, მუდამ მტრულ განწყობილებაში იქნება ჩვენსა და საბჭოთა ძალა-უფლების წინააღმდეგო...

ყოველივე ეს ისე აშკარაა. რომ მას ამჩნევს და გრძნობს წვრილ-ფეხა კომუნისტიც კი. გრძნობს თვით სტალინი და მისი ამალაც, მარა თუ ის მაინც ასე ილაშქრებს ფრუმკინის და მისი მომხრეების წინააღმდეგ—ეს იმიტომ, რომ გაცვეთილი ფრაზეოლოგიით უნდა დაფაროს დუხჭირი შედეგი თავის უხეში პოლიტიკისა და თავის უვიც მიმდევრებს კიდევ უფრო დაუბნიოს გზა-კვალი სინამამდვილის შეგნებისა და მისი სისწორით წარმოდგენისა.

მარჯვნით გადახრა—ეს არ გავს ტროცკის მემარცხნე რომანტიზმს. ეს უფრო საშიში, უფრო საბედისწეროა კომუნისტებისათვის. მასში ჩასახულია მკრთალი შეგნება იმისა, რომ ყველა გზები ნაცადია, რომ ამ გზებმა სრულიადაც ვერ წასწია წინ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება, რომ მან ვერ შესძლო დაეკმაყოფილებია ხალხის ელემენტარული მოთხოვნილებაც კი. ამიტომაც არის, რომ ესენი ასე დაჟინებით ითხოვენ ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელებას, უარის ყოფას სოფლის წინააღმდეგ მიმართულ მკაცრ ზომებისას და შეწყვეტას კოლხოზების და სოვხოზების ზედმეტად გახშირება-გაფართოვების. ყოველივე ეს კი თავის თავათ ნიშნავს, პირველ ყოვლისა, სერიოზულ ნაბიჯს გადადგმულს ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ და გასავითარებლათ.

მაგრამ, ჩვენ ვიცით, რომ სამეურეეო პრობლემები მჭიდროთ შეკავშირებულია პოლიტიკურ პრობლემებთან. «მემარჯვნე გადახრის» მიერ აღებული სამეურნეო კურსი მოითხოვს შესაფერ უფლებრივ ჩარჩოებს. და აი, რამდენათ ძლიერი იქნება მათ მიერ მოთხოვილი ეკონომიური შემოტრიალება, იმდენათ მისი აუცილებელი შედეგი იქნება შესაფერი პოლიტიკური შემოტრიალებაც.

«მარჯვნით გადახრა«—ეს ამ ჟამად უსახო მიმდინარეობაა კომუნისტურ რიგებში, მარა, რამდენათ მისი, თუ გინდ ასეთი მკრთალი პლატფორმა გამოხატავს საბჭოთა კავშირის ეკონომიური ცხოვრების დღევანდელ განვითარებას, იმდენათ ის გამოხატავს საზოგადოების დიდი უმეტესობის ინტერესებს და მისწრაფებებს, და რამდენათ ასეთი შეგნება საერთო ხდება, იმდენათ ახლოვდება დრო და ჟამი კომუნისტური რეჟიმის დასამარებისა.

* * *

ამას გრძნობს თვით კრემლიც და კიდეც ამიტომაა, რომ ის ასე დაუზოგველათ შეესია სოფელს და იქ შეკრებილი გადასახადებით ლამობს უკვე დაწყებული საბედისწეროო ეკონომიური პროცესის შეჩერებას. არც ერთ დროს რუსეთის მოქალაქეს არ ატყავებდენ და არ აღრჩობდენ ათას გვარი გადასახადებით ისე, როგორც დღეს ამას კომუნისტური მთავრობა სჩადის. ს. ზაგორსკის სიტყვით სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტი ომამდე უდრიდა მთელი სახალხო შემოსავალის 17.5 პროცენტს, დღეს კი ეს ბიუჯეტი უდრის—22,3 პროცენტს; მაგრამ, რადგან სახალხო შემოსავალი სულზე საგრძნობლათ შემცირდა, ასეთი დიდი ნაწილის აღება სახალხო მეურნეობის შემოსავლიდგან, რა თქმა უნდა, მეტად მძიმე და აუტანელი ხდება. და მართლაც, ომამდის, სა-

ერთო სახალხო შემოსავალი სულზე მოდიოდა დაახლოვებით 108 მან., გადასახადს მიქონდა ათი-თერთმეტი პროც., რჩებოდა მოქალაქის ჯიბაში წმინდა 96,7 მან. ახლა—სულზე მოდის 161 ჩერვონეცის მან. გადასახადს კი მიაქვს—22,96 ჩერვ. მან. წმინდა შემოვალია არა უმეტეს—70 ომის წინა მანეთისა. ამ რიგათ, საბჭოთა დღევანდელი სახელმწიფო ფანანსიური მეურნეობა ნთქავს უფრო დიდ ნაწილს ხალხის მეურნეობისას, ვინემ ეს იყო ომამდე!

ყველა უმთავრესი დარგი სახალხო მეურნეობისა-მრეწველობა, ტრანსპორტი, ვაჭრობა, კრედიტი, მიწა—ყოველ-ივე ეს სახელმწიფოს ხელშია. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი დიდი მეურნეობა შესძლებდა თავის ხარჯების დაფარვას მაინც საკუთარი შემოსავლიდგან. მაგრამ სწორეთ ეს არ ხდება და იმ აუარებელ დეფიციტს, რომელიც შედეგათ მოჰყვა კომუნისტების ამ უთავბოლო სამეურნეო სისტემას, ფარავს კერძო მეურნეობის შემოსავალი. და აი სწორეთ აქ ეჯახება ერთმანეთს ორი პოლიტიკა—ეკონომიური და ფინანსიური. პირველი ეყრდნობა ნაციონალიზაციას, მეორე—კერძო მეურნეობის შემოსავალს. პირველი არამც თუ აძლევს რამეს სახელმწიფოს, პირიქით, იქით ითხოვს დახმარებას და ეს დახმარება უნდა დაფაროს საფინანსო უწყებამ. მარა საიდგან? ისევ იმავე კერძო მეურნეობის შემოსავლიდგან, ე. ი. გლეხთა ჯაბიდგან.

პროფესორ შმელევის გამოანგარიშებით სახელმწიფოს მთელი გასავლის 70, 2 პროცენტი დაუფარავს კერძო მეურნეობას, სახელმწიფო მეურნეობას კი მხოლოდ—27, 8 პროცენტი. მიუღია კი საერთო ბიუჯეტიდგან—73,3 პროც. ე. ი. მთელი შემოსავლის ორ მესამედზე მეტი.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა მაღალი და მძიმე გადასახადი ერთავად საზოგადოების ღარიბ ნაწილს აწევს და მას უკანასკნელ ლუკმას აცლის სახელმწიფო მეურნეობის და გაბატონებული აპარატის სასარგებლოთ!

ღარიბს ართმევს, მდიდარს აძლევს—აი სიბრძნე კომუნისტების ეკონომირი პოლიტიკისა!

მშიერს ართმევს, მაძღარს აჭმევს—აი აზრი კომუნისტების ბოროტი მოღვაწეობისა!

ბ—ე.

ახალი ეტაპი ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობაში.

(ჰარრიმანი და მოდებაძეები)

(დასასრული)

ჭიათურის შავი-ქვის საქმეში ჰარრიმანის და მოდებაძე-კარპეს ჩარევა იმ სახით, როგორც ეს დღეს მოხდა, არ არის გამოწვეული არც ხსენებული მრეწველობის ძირითადი ინტერესებით, არც სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებით და არც წარმოადგენს მრეწველობაში მანამდე შემოღებულ ორგანიზაციის შემდეგს, გაუმჯობესებულ საფეხურს. სულ წინაამდეგ: იგი არის გარედან უაზროთ შეჭრა მრეწველობისთვის უცხო ძალებისა, კარგად ჩამოყალიბებულ და მოფიქრებულ საქმეში, არის იმ ძაფის გაწყვეტა, რომელსაც მისდევდა, წინად, ქაოტისებურ ყოფაში მყოფი მრეწველობა, შემდეგ დიდ მოწყობილ საქმედ გადაქცეული.

თუ საზ. «ჩემოს» და მის საზღვარ გარეთელ ორგანოს მეოხებით შავი-ქვის მრეწველობა საბოლოოდ მოსწყდა კარჩაკეტილობას, მრეწველობას მიეცა ერთნაირი ქართული დიდი ორგანიზმის ელფერი, დაკავშირა, როგორც თანასწორი, წვრილი მრეწველი დიდ ფირმებთან და ამ უკანასკნელთა იარაღით შეიარაღა, მრეწველობაში საერო და სახელმწიფოებრივი ინტერესიც იზრდებოდა, ეხლა მოსკოვ-ტფილისის კომუნისტურ ძალა-უფლების ჩარევით, ეს ერთიანი ძაფი გასწყდა. მრეწველობასაც ქართული ნაციონალური საქმიანობის ელფერი დაეკარგა, წვრილი მრეწველები, რომელნიც «ჩემომ» და «საქციონერო საზოგადოებამ» გამოიყვანა ფართო ასპარეზზედ, კვლავ მოსწყდენ საერთო მუშაობას—ყველაფერი ეს ჩაიშალა, დაიმსხვრა. დაიმსხვრა სწორედ იმ დროს, როდესაც უდიდესი ნაყოფის მოტანა უნდა დაეწყო!

ამას წინად საზღვარ-გარეთელ გაზეთებში მოთავსებული იყო ჩივილი ჰარრიმანის რწმუნებულისა, ვითომ მისმა ფირმამ 5 მილიონი დოლარი იზარალა ჭიათურის კონცესიაშიო. აბა რა ჩვენი საქმეა ბბ. ჰარრიმანების მოგება-წაგების ანგარიში. მან იცის და მისმა გამჭრიახობამ, რასაც შეეფეთებოდა იგი კონცესიის აღებით, ე. ი. მან აჯობა ბოლშევიკებს, თუ ამ უკანასკნელთ გააცურეს იგი...

ჩვენთვის მთელ ამ საქმეში მხოლოდ ერთია საინტერესო და სწორედ ის, რომ ჰარრიმანის ჭიათურაში გაჩენით არასფერი არ შემატებია არც ჩვენს მრეწველობას და საერთოდ არც ქართველი ერის ეკონომიკას. პირიქით, იგი ერთი იმ ფაქტორთაგანია, რომელმაც კარგად დაყენებული ქართული საქმე დღევანდელ საქართველოს ბატონებს ჩაშლევინა და უკან დააყენებინა. მისი სახელით გამოცხადებულ სამოქმედო გეგმაში და პროექტში არ იყო არც ერთი დაწყება, ან რამე აზრი, რომელიც წინად არ ყოფილიყო მოფიქრებული და დამზადებული შავი-ქვის მრეწველობაში არსებულ ორგანიზაციების მიერ, დაწყებული გიორგი ზდანოვიჩის დროიდან.

მართლაც რომ განეხორციელებია ჰარრიმანს ყველა ეს ძველთაგანვე ნააზრი გეგმები და ამისთვის ფულიც მოეტანა, არც აქ იქნებოდა რამე დამსახურება ჩვენი ქვეყნის წინაშე, რადგან ის ქართული ორგანიზაციები, რომელნიც ჩამოყალიბდა შავი-ქვის მრეწველობაში, ფულსაც თვითონ იშოვნიდენ და თვით გეგმის ასრულებას და მშენებლობას უფრო იაფად დაუსვამდენ საქართველოს. საზოგადოთ, ფულის საქმეში მომტანნი ჰარრიმანები კი არ არიან, არამედ თვით საქმეა, ამ შემთხვევაში ჩვენებური მარგანეცია ანდამატივით ფულის მომზიდველი. ჩვენი შავი-ქვა ისეთი ძვირფასი განძეულია, რომ ფული მას ეძებს; ამიტომაც იყო, რომ როდესაც ჩვენს მრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წველობაში ჩაბმულმა ძალებმა ფულის საშოვნელად წინასწარი მოლაპარაკება დაიწყეს, მათ არ აკლდათ ყოველ მხრიდან კაპიტალისტების გამოძახილობა.

თუ ჭიათურის მადნის ექსპორტს განმარტოებით გავეცნობით, დავინახავთ რომ იგი იშვიათის გარანტიებით არის აღჭურვილი. იმის გასაგებათ იძლევა ზარალს თუ მოგებას, რომელიმე ერთი განცალკევებული საექსპორტო ოპერაცია, ექსპორტერს, თითქმის, არა სჭირდება წლის ბოლოს უცადოს, რათა თვისი საბოლოო მოგება-წაგების ანგარიშს გაეცნოს; ამის გაგება მას თვითეული გემის გაგზავნის დროს შეუძლია. გაყიდვის დროს, ე. ი. მადნის გასაყიდ ფასის მყიდველთან გადაწყვეტის დროს, მან უკვე იცის, რა ერგება მას, რადგან ეს მოგება, მისივე გამოანგარიშებით, ის ზედმეტია, რაც აღემატება შავი-ქვის თვით ღირებულობას, ყველა ხარჯების, გადასახადების და სხვათა ჩათვლით. ყველა ეს ხარჯები წინადვეა გათვალისწინებული და ამიტომ ექსპორტერისთვის მოგების გამოანგარიშება სიძნელეს არ წარმოადგენს... საქონლით დატვირთული გემი ზღვაშიც რომ დაიღუპოს, ექსპორტერი აქაც არრასა კარგავს, რადგან საქონელი წინასწარ აქვს დაზღვეული და დაზღვევის ხარჯებიც გათვალისწინებული იმ დროს, როდესაც მყიდველს ფასში ურიგდებოდა. ერთის სიტყვით მარგანეცის ექსპორტი ისეთი პირობებით არის მოწყობილი, რომ ზარალის მიღების შესაძლებლობა უკიდურეს მინიმუმდეა დაყვანილი.

ამ გარემოებას თუ გავითვალისწინებთ, სწორედ ძნელად დასაჯერებელია, ვითომ მარგანეცის ექსპორტმა ვისმე უთვალავი ზარალი მიაყენა... ამიტომ ჩვენც არ გვჯერა, რომ ჰარრიმანმა ზარალი ნახა რამე. ჩვენ სულ სხვას ვიტყოდით: რომ მას მართლა დაეხარჯა ის დიდი თანხები, რომლებიც კონცესიის პირობით უნდა მოეხდინა—რკინის-გზის შტოს გადასაკეთებლად, ქარხნების სხვაფრივ მოსაწყობად, გასარეცხ საშუალებათა გასაუმჯობესებლათ, მადნებთან მისაყვან გზების გასაყვანათ, შორაპანში გადატვირთვის გადასაკეთებლად, და სხვა და სხვა, აქ მას მართლაც მილიონების დახარჯვა მოუხდებოდა, მაგრამ ეტყობა კარგად ჰქონია, გათვალისწინებული, რომ ამ აუარებელი ფულის დახარჯვა საბჭოთა სამოთხეში მართლაც და ზარალის მეტს მას არას მოუტანდა. მაშ რა იყო მიზეზი ჰარრიმან-ბოლშევიკების აშლისა?

ჩვენის რწმენით სულ უბრალო გარემოება. მანამ ამერიკელი კონცესიონერი მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ექსპორტს ეწეოდა და ამაში მოგებასაც ხედავდა, იგი გულმოდგინეთ სარგებლობდა კონცესიონერის უფლებებს, და როდესაც ამ კონცესიისავე დავალებით მას მილიონების ხარჯვა უნდა დაეწყო, მაშინ იგი გასცილდა კონცესიას...

ძალიან შესაძლებელია, რომ ჰარიმანის მოგება, მარტო საექსპორტო ოპერაციებითაც არ იყო განსაზღვრული, რომ მან სხვაფრივაც ნახა დიდი ხეირი. ჩვენ როგორღაც ყური მოვკარით, ეს გაზეთებში იყო აღბეჭდილი, რომ კონცესიის მიღებისათანავე ჰარრიმანმა ეს საქმე საქციონერო საზოგადოებათ გადაკეთა; ვინ არ იცის, რომ ეს ოპერაცია საუცხოო ხერხია, შენი კაპიტალი ორმაგათ გაადიდო, ისე რომ წმინდა მოგება შენ გერგოს და თუ წაგებაა, თუ სულ არა, უდიდესი ნაწილი, ყოველ შემთხვევაში, აქციონერებზედ გადიტანო...

თავიდანვე იყო ცხადი, რომ ჰარრიმანის შავი-ქვის მრეწველობაში ჩაბმა, ხელშეკრულება უთუოდ უთანხმოებით უნდა გათავებულიყო. და მისი ერთი რომელიმე მხარე მოტყვუილებული უნდა დარჩენილიყო.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ შემთხვევაში, ჰარრიმანმა მოატყუილა საქართველოს მოსკოვ-ტფილელი ბატონები!

—

როგორც თავის ალაგას უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი ქართველი მრეწველების დიდი უბედურობა ის იყო, რომ მეტ წილად ისინი არ იყვნენ ექსპორტის მონაწილენი, საქმის სწორედ იმ სტადიის, სადაც მოგება დიდი იყო და სჯერდებოდენ მათგან ამოღებულ და ჭიათურაში ჩამოტანილ ქვის ადგილობრივად გაყიდვას.

თუ რა იყო ეს მოგება შემდეგ ცხრილიდან დავინახავთ.

აი რა ჯდებოდა ერთ დროს, ომამდე, ერთი ფუთი მადნის მიტანა ჭიათურის საწყობამდე: (კაპეიკებში)

1. მადნის ამოღება და გამოტანა . .	2.25
2. მისი გაწმენდა და ხარისხებად დაყოფა	0.75
3. იჯარის ფასი	1.00
4. ჭიათურაში ჩამოტანა	0.25
სულ .	7 კაპ.

საზღვარ-გარეთ გატანა, რომელიმე პორტამდე, ფუთი ჯდებოდა 20 კაპ.; ამაში ყველა გზის ხარჯი შედიოდა.

უმთავრესად ქართველი მრეწველი აქ მოყვანილ მინიმუმით განსაზღვრავდა თავის მოგებას. ეს იყო მიზეზი იმისი, რომ შავი-ქვის მრეწველობა არ სტოვებდა ჩვენი ხალხის ეკონომიკაში იმ კვალს, რომელიც მას უნდა დაემჩნია, მიხედვით მისი დიდი შესაძლებლობისა. სამაგიეროდ კი იმ ხალხის ეკონომიკა ხარობდა, რომელნიც შავ-ქვას ქართველებისაგან ყიდულობდენ ჭიათურაშივე და თვითონ გაქონდათ უცხო ქვეყნებში გასაყიდათ. ამისთვის მათ ცოტა რამ სჭირდებოდათ: ფუთზედ 27 კაპეიკის დახარჯვა და ექსპორტის საკმაოდ მარტივი წესების ცოდნა. თუ რომელიმე ექსპორტერს საკუთარი ფული არ ქონდა—იგი სახელმწიფო და სხვა ბანკებში სესხულობდა. მოხდებოდა ხშირად, რომ ზოგ «ექსპორტერს» ფული ხელში არ ქონდა, ამ შემთხვევაში საცოდავი ქართველი მრეწველივე აძლევდა მას კრედიტს, ე. ი. ქვას ნისიათ აბარებდა...

ჩვენს მრეწველს საჭირო ორგანიზაციის მეტი არა აკლდა რა, რომ მრეწველობაში, საკუთარი საექსპორტო ოპერაციების დაწყებით, მოგების მაქსიმუმი მიეღო.

საზ. «ჩემოს», მისი საზღვარ-გარეთელ ორგანოს და «ქართველ აქციონერთა საზოგადოების» მოკლე დროის არსებობამ ეს დებულება სავსებით დაამტკიცა. ჩვენი წვრილი ქართველი მრეწველი-მუშაკი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ რამდენიმე თვის განმავლობაში ჩაწვდა სავსებით ექსპორტის ყოველგვარ ოპერაციებს, მუშტრის შოვნიდან დაწყებული, გემების დაქირავების, საქონლის დაზღვევის ტეხნიკას, თვით საზღვარ-გარეთ მივლინებას და იქ საქმიანობის უნარის გამოჩენას;—და ყველა ამას უკვე ადვილად ახერხებდა ის პატარა მრეწველი, რომელიც აქამდე ჭიათურის «დისკას» არ გასცილებოდა.

ქართველმა მრეწველმა კრედიტიც მალე იშოვა, ექსპორტის ტეხნიკური ხერხებიც ადვილად შეიძინა, მაშინ, როდესაც მას მზრუნველი, ქომაგი, დამხმარე და წამქეზებელი გამოუჩნდა;—ყველა ამის გაჩენა მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში გახდა შესაძლებელი.

ამ დამოუკიდებლობამ მოუპოვა ქართველ მრეწველობას მისი ამაღორძინებელი პირობები,—და ეს პირობები კვლავ მოესპო მას იმ დღეს, როდესაც, გარეშე მტრის შემოსევით, საქართველოს თავისუფლება წაერთვა.

ბოლშევიკური ძალა-უფლების სურვილით მოისპო საზ. «ჩემო» და მისი საზღვარ-გარეთელი ორგანოები, დაიხურა ქართული «სააქციონერო საზოგადოება», რომელიც აერთებდა წვრილ ქართველ მრეწველებს, მოისპო ძველი, ნაამაგდარი, ბევრი კარგი საზოგადო საქმის დამწყები შავი-ქვის «მრეწველთა საბჭო»...

სწორედ აქ ჩნდება ჩვენი მრეწველობისათვის საბედისწერო როლი კარპე მოდებაძის.

ყველა ჩაქრობილ კერათა ნაცვლად, მისი ბატონების მიერ, იგი იყო გამოცხადებული შავი-ქვის მრეწველობის ბატონ-პატრონათ და ხელმძღვანელათ!

მაგრამ, როგორც გაზეთებიდან სჩანს, კარპე მოდებაძე ვერ მოთავსებულა თავის ქერქში, საქართველოს ფარგლები ამ ვაჟბატონისთვის მეტად ვიწრო გამომდგარა. იგი, მოსკოვის ლოცვა-კურთხევით, მხარში უდგება მათ, ვისაც მინდობილი აქვს ამიერიდან საბჭოთა კავშირის, ე. ი. სრულიად რუსეთის სახელით, აწარმოოს შავი-ქვის ექსპორტი და მით საქართველოს მარგანეცის ხსენებაც კი ამოაგდოს ძირიან-ფესვიანათ... მოსკოვის ბრძანებით ამიერიდან საქართველოს შავი-ქვის ექსპორტი უერთდება რუსეთის ნიკოპოლის ექსპორტს; დიდი ქართული საქმე ითქვიფება და იშლება, მხოლოდ მისთვის, რომ როგორმე წასწიონ წინ ფართო ბაზარზედ ნაკლებად ცნობილი ნიკოპოლის მრეწველობა!

ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტრები კვლავ სთხოვენ საქართველოს მძიმე მსხვერპლს: შავი-ქვის მრეწველობაში საქართველოს სახელის, საქმიანობის და უნარის გამოჩენის სრულს მოსპობას.

შეცდომა იქმნება, თუ ვიფიქრებთ, რომ საქართველოს წინაამდეგ ეს ახალი იერიში, რაღაც მოულოდნელი, უცაბედი და გუშინდელი ამბავი იყოს. ჩვენ ხელთ არის ასეი ერთი დოკუმენტის, რომელიც, თავის დროზედ, სტამბოლიდან ტფილისში ყოფილა გადაგზავნილი. აი რა ამბავსა ვტყობილობთ ამ ქალალდიდან. 1921 წელს, დეკემბერში, ლონდონიდან ჰააგაში ჩასულა ვინმე რაბინოვიჩი. ეს ვაჟბატონი საბჭოთა რესპუბლიკის მაშინდელ ლონდონელ ელჩ კრასინს გაეგზავნა ქ. ჰააგაში, საზ. «ჩემოს» საზღვარ-გარეთელ კომიტეტთან მოსალაპარაკებლად.

ამ კომიტეტის სხდომაზედ კრასინის მოციქულმა, თურმე, ბევრი არც აცხელა და არც აცივა და ერთის დაკვრით გამოაცხადა შემდეგი: გამოგზავნილი ვარ თქვენთან წინადადებით, რომ მოსპოთ თქვენი საკუთარი შავი-ქვის ექსპორტი და მისი უცხოეთში გაყიდვა. ჩვენ, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას, გვაქვს ლონდონში და საზოგადოთ საზღვარ-გარეთ მძლავრი ორგანიზაცია, რომელიც უძღვება უცხოეთში ექსპორტის და გაყიდვის საქმეს. თქვენ ვერასდროს ვერ მოახერხებთ გაყიდვას იმ პირობებში, როგორც ჩვენ, ამიტომ თქვენ უნდა დაგვითმოთ თქვენი შავი-ქვის საექსპორტო ოპერაციები. ამ დათმობისათვის თქვენ მიიღებთ საფასურს, რომელზედაც შევთანხმდებით. გირჩევთ ისარგებლოთ ჩემი აქ ჩამოსვლა, ბევრ დროს ნუღარ დავკარგავთ და შევუდგეთ პირობის შედგენას. ამასთანავე გიცხადებთ, რომ თქვენთვის სჯობს, რომ სწორეთ შეთანხმების გზას დაადგეთ, რითაც შესაძლებლობა გეძლევათ ის თქვენი სურვილებიც გაატაროთ ხელშეკრულობაში, რომელიც ჩვენთვის (საბჭოთა რუსეთისათვის) მისაღები იქნება. თუ ამ ჩემ წინადადებას არ მიიღებთ, მით უარესი თქვენთვის; იცოდეთ, რომ რუსეთი ვერ დათანხმდება, რომ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკამ სეპარტიულად იმოქმედოს ამ დარგში. თუ ეს კითხა აქ არ დასრულდა, ჩვენ შორის. და მოსკოვში გადავიდა, იცოდეთ, რომ იქ უკვე თქვენთან მოლაპარაკების კილოთი კი არ დაიწყებენ საგნის სჯას, არამედ გადაჭრილ მოწერილობას მიიღებთ:—დასტოვოთ ყოველ პირობების გარეშე საექსპორტო ოპერაციები და ჩვენ გადმოგვცეთ იგი. ესეც იცოდეთ: თუ შევთანხმდებით აქ, ამ შემთხვევაში, ლონდონიდან დაუყონებლივ გაგზავნილი იქმნება მოსკოვში წინადადება, რომ თქვენ ქვეყანას გაეგზავნოს გემები, ვაგონები, მანქანები და ორთქლმავალები, რათა უკეთ მოეწყოს თქვენი მადნის ექსპორტი და თუ შეთანხმებაზედ უარს იტყვით, იცოდეთ, რომ რუსეთი წაგართმევთ ყველა იმ ვაგონებს და ორთქლმავალებსაც, რომელნიც, თქვენს რკინის-გზებზედ იმყოფება ამ ჟამად, რადგან ყველა ეს საქართველოსი კი არა, რუსეთისა არის...

ამნაირი განცხადების შემდეგ კრებული შეეკითხა ბ. რაბინოვიჩს: რამ გამოიწვია კრასინის ასეთი წინადადება, რად უნდა მოვსპოთ ჩვენი საქმიანობა, რომელსაც აგერ 40 წელიწადია მივსდევთ და რად გგონიათ, რომ ჩვენი საქონლის გაყიდვას თქვენ ჩვენზედ უკეთესად მოაწყობთო?

ამაზედ ასეთი პასუხი მიუღიათ:

თუ საქართველოს თავისი საკუთარი შავი-ქვა აქვს, ჩვენც გვაქვს ჩვენი რუსული მარგანეცი, ნიკოპოლში. აგერ კარგა ხანია, რაც ლონდონში მივიღეთ ერთი გემი ამ ნიკოპოლის მარგანეცის, მაგრამ აქამდე ვერ გაგვიყიდნია, ყველგან მყიდველი იმას გვეუბნება, რომ ისინი ჭიათურის შავ-ქვას უფრო იაფად ყიდულობენ... (აქ ელჩის მოციქულს ცოტა არ იყოს ტყუილი შეპარვია:—აბა ნიკოპოლის მარგანეცს ვინ იყიდის, თუ იმავე ბაზარზე ჭიათურისაც მოიპოვება!)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალლის თავი აქ არის ჩაფლული! საქართველოს შავი-ქვის მრეწველობის წინაშე კვლავ წამოჰყო თავი ძველმა ბრძოლამ შიდა რუსეთს და რუსეთის განაპირა რაიონებს შორის; ამ რაიონების დამონებამ და დაჩაგვრამ რუსეთის მიერ, არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ ეკონომიურადაც. მაშასადამე აღარავის უნდა გაუკვირდეს ის ამბავი, რომ მოსკოვის წინადადებით მოხდა საქართველოს შავი-ქვის მრეწველობის ინტერესების დამორჩილება—ნიკოპოლის, გაცილებით უფრო მდარე მადანის, სასარგებლოთ.

—

დაბოლოს ერთი პატარა სტატისტიკური ცნობა, რომელიც ამოღებულია ბოლშევიკურ ოფიციალურ გამოცემიდან (ნარ. ხოზ. ზაკავკ. 1927).

იყო მაღაროებიდან ამოღებული შავი ქვა. (ათასი ტონი):

	1913 წ. პროც.	1926 წ. პროც.
საქართველოს შავი ქვა	970.9 = 76.4	769.5 = 48.2
ნიკოპოლის რუს. შ. ქვა	299.1 = 23.6	827.5 = 51.8

ეს ციფრები ყველაზედ უკეთესად მეტყველებენ, თუ როგორ დასცეს ბოლშევიკებმა ჩვენი დიდი ეროვნული მრეწველობა.

საქართველოს მადანი თუ 1909 წლიდან დაწყებული იმდენი მზადდებოდა, რომ მთელ დედა-მიწის ზურგზედ მას არავინ ასწრებდა, 1926 წელს, როდესაც აღარც ომები იყო და არც რევოლუციები, საქართველოში ამოღებულ მადნის რაოდენობა უფრო დაბლა სდგას ისეთ წინად უკან ჩამორჩენილ რაიონზედ, როგორიც ნიკოპოლია: 51.8 პროც. ამ უკანასკნელში და მხოლოდ 48.2 პროცენ. საქართველოში (ს. ს. ს. რ. კ. ფარგლებში).

ეტყობა, საქართველოს მამინაცვლები არ სჯერდებიან ასეთ ჩვენს დამცირებას. ახლა მათ, ალბად, მოუსურვებიათ ექსპორტის რაოდენობითაც წასწონ წინ ნიკოპოლის რაიონი და სწორედ ამისთვის დასჭირებიათ ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობის მიშველიება. ეს ხომ ყველასათვის არის აშკარა, რომ საქართველოს შავი-ქვის მრეწველობას არასფერი აქვს საერთო ნიკოპოლის მრეწველობასთან. არც წარსულში და არც ეხლა «სრულიად რუსეთის» მმართველებს არაფერი სასიკეთო რამ არ გაუმეტებიათ ჭიათურის მრეწველობისათვის. ცარიზმის დროს სატარიფო პოლიტიკით ებრძოდენ ჩვენს მრეწველობას. ამ ჟამად ამას აღარ სჯერდებიან და როგორც მოელს საქართველოს მოუსპეს მათ დამოუკიდებლობა, ეხლა სპობენ ჩვენ დიდს ეროვნულ მრეწველობის თვითარსებობასაც. მაგრამ ეს ხომ ლოგიკური შედეგია ყველა იმ ზომების, რომელსაც მოსკოვი ასეთის სასტიკობით ღებულობს საქართველოს საარსებო ინტერესების წინაამდეგ.

—

ეს წერილი დასრულებული იყო, როდესაც ტფილისის გაზეთებმა ცნობა მოგვიტანეს, რომ კარპე მოდებაძე ჭიათურის შავი-ქვის წარმოების ტრესტს(?) უდგება სათავეში, მხოლოდ ა. სვანიძე-კი (ესეც, ალბად, დიდი ვინმე სპეცია!) რუსეთ-საქართველოს მარგანეცების გაერთიანებულ ექსპორტის უზენაეს მმართველად ხდება! ამ კომბინაციით იშლება თვით სახელწოდება: საქართველოს შავი-ქვა.

თავისთავად ცხადია, რომ ეს არაფერში სცვლის ჩვენს ძირითად დებულებებს და დასკვნას, რომელიც შემდეგია:

ჭიათურის მრეწველობის წინსვლა და განვითარება და მასთან თვით საქართველოს ძირითადი ინტერესებიც მოითხოვდენ, რომ შავი-ქვის მრეწველობის და ექსპორტის «თვით-არსებობა» არ ყოფილიყო მოსპობილი, როგორც ეს, მოსკოვის ბრძანებით, მოსპეს ტფილელმა კომუნისტებმა. ის ხელისუფლება, რომელიც გულწრფელად არის მოწადინებული, რომ საქართველოს ეკონომიკა, როგორც ასეთი, მკვიდრ საფუძვლებზედ იყოს აღშენებული, კი არ მოსპობდა ჭიათურის მრეწველობაში არსებულ ორგანიზაციებს, რომელნიც წინ წამდგარ ნაბიჯს წარმოადგენდენ, არამედ ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენდა მათ. საქართველოს შავი-ქვის მაღალი ღირსებანი, ჩვენი ქვეყნის საუცხოო გეოგრაფიული მდგომარეობა და მაღაროებში ხელ-საყრელი სამუშაო პირობები –ყველა ეს სამაგალითოდ უადვილებს ქართულ მარგანეცს უცხოეთის კონკურენციასთან ბრძოლას, მეტადრე თუ განხორციელებული იქნება ის პროექტები, რომელიც შემუშავებული ქონდათ ბოლშევიკების მიერ აწ მოსპობილ ქართულ სამრეწველო ორგანიზაციებს. ქართული ინტერესები სრულიად არ საჭიროებდენ ჭიათურის შავი-ქვის სვებედის დაკავშირებას, რომელიმე უცხო რაიონებთან. ის დაკავშირება, რომელიც ამ ჟამად სვანიძე-მოდებაძეების მონაწილეობით ხორციელდება, საზარალოა ქართულ შავი-ქვის მრეწველობისათვის; იგი სასარგებლოა მხოლოდ ისეთ მდარე ღირსების და უცხოეთში ნაკლებად ცნობილ მარგანეცისათვის, როგორიც რუსული ნიკოპოლის მადანია. იმ ხნის განმავლობაში, რაც საქართველოს ოკუპაცია ხდება, ვერ მოხერხდა ერთი რამე საბოლოო ზომის მიღება და ჭიათურის მრეწველობა გამუდმებულ მერყეობას განიცდის; ამის მეოხებით უცხოეთის ბაზარი თან-და-თან ეჩვევა უჭიათუროთ მოიმარაგოს მისთვის საჭირო მადანი, რაც დასამარებას უქადის ჩვენს დიდს სამთო-მადნო მრეწველობას ჭიათურის რაიონში...

აი ეს არის ის ახალი ეტაპი, რომელიც მოსკოვის ბრძანებით და ჰარრიმან-მოდებაძეების ჩარევით დამყარდა ამ ჟამად ჭიათურის მრეწველობაში...

* * *

1928 წ. ნოემბერი.

გოგი... ივლიანე...

ახოვანი ტანი ეროვნულ სამოსელში—ჩოხა ახალუხში—გახვეული... აღმოსავლეთის მხურვალე მზის შვილი... გრუზა-შავი თმა... საქართველოს მზის ცეცხლში გამოწრთობილი, შავს წარბებს ქვეშ შავი თვალები-მტრისთვის მრისხანება, მოყვრისთვის სათნოების, უაღრესი კეთილშობილების, სიცოცხლის და სიყვარულის მომფენი. დინჯი, აუჩქარებელი. უცქერი-სტკბები ცქერით; თვალს ვერ აშორებ...

«უიმდო»—განაწამებ წუთებში ისწრაფვი ნახო, ახლოს იყვე მასთან, რომ სიმხნევე, ენერგია შთაგბეროს არა ლამაზი, მომხიბვლელი სიტყვებით, არამედ უბრალო შემოხედვით, საქართველოს ცხოველ-მყოფელ მზის სხივებში ამოვლებულ თავისი სახით...

და თუ ქვეწარმავალთა და გარეწართა მიერ ბნელი წყვდიადით მოცული არე, თუ გამეფებული ჯოჯოხეთური პირობები საშვალებას არ გაძლევს ხშირად შეხვდე, საკმარისია მოიგონო, რომ მისი აჩრდილი მთელი თავის ახოვნებით, თავასი მდიდარი ბუნებით წინ დაგიდგეს, კვლავ ბრძოლისაკენ მოგიწოდოს...

იქ, სადაც ის არის... სადაც ის იყო, არ შეიძლება წუთიერი საქმე იყოს... იქ არის უკვდავება, იქ მარადიული საქმეა:

— სამშობლო, მებრძოლი სექართველო!...

ვინ არ იცნობდა მას—გოგის... პოლკოვნიკ გოგი ხიხშიაშვილს!

ის გვერდში ედგა საქართველოს რაინდთ: კოტე აფხაზს, გენერალ ანდრონიკაშვილს. გენერალ წულუკიძეს, პოლკ. მუსხელიშვილს და სხვ...

* * *

ბათომი... უკანასკნელი დღეები... დღები მწარე, სისხლიანი. სუსხიანი, ჩრდილოეთის სუსხმა სძლია საქართველოს გრძნობიერ ბუნებას.

— გამეფდა უკუნეთი...

ნაბადში გახვეული, მივიჩქარი: მინდა გზა აუარო სევდიან სახეებს, მინდა ჩქარა გურიაში გავიდე, მაგრამ... სილიბისტრო!..

არ ვიცი როდას ვნახავ, მეორეთ სად ან როდის შევხვდები სპეტაკ მოხუცს, რომლის ცხოვრება მხოლოდ უდრეკი ბრძოლაა... მივუახლოვდი, მივესალმე, დამაცქრდა. პირველ შეხედვით თითქოს ვერც კი მიცნო—ჰო, შენა? და რაღაც უნდოდა ეთქვა, ვერ მოასწრო, რომ სიცოცხლის შუქმა შემოგვანათა:

გოგი!..,—მოგვესალმა.

— ვინ არის, გვარდიის დივიზიონის უფროსი, ჩვენი ხიმშიაშვილი?

წუთი, წამი და მოხუცის თვლებმა დაჰკვესა!...

არასოდეს დამავწყდება ეს წუთი, არის მომენტი —პიროვნება არაფერია; არის კიდევ—პიროვნება ყველაფერია. და იმ წუთს ჩვენ წინ იდგა «პიროვნება ყველაფერი», იმ წუთს ჩვენ წინ იყო მოხუცი და მუდამ ახალგაზრდა,—ჩვენ წინ აღიმართა დღეს დამარცხებული, მაგრამ ხვალინდელი მებრძოლი, მოუდრეკელი საქართველო. ეს აისახა უკვდავ ადამიანის სახეზე. მისი თვალებიდან დანაკვესი ბრძოლის ნაპერწკლები გვწვავდა... გვნთქავდა...

— გადახედეთ ქართველი ერის ტანჯულ ცხოვრებას, მის ბრძოლას, მის ისტორიას, იქ ნახავთ ბევრს ძალიან ბევრს გმირებს, ისწავლეთ მათგან ბრძოლა და, თუ საჭირო იქნება სამშოლოსათვის, მათებრ თავის დადება. ასეთი ურდოები საქართველოს ბევრი უნახავს. ყველას მას აქვე გაეთხარა სამარე. ესენიც აქვე დასამარდებიან. თქვენი და თქვენის სახით. ახალგაზრდა მებრძოლთა შემყურე, მე, რომელსაც ფეხი სამარეში მიდგია, შეიძლება თქვენოდენი ვერ შევსძლო, მარა მე ეს მეპატიება. ყოველშემთხვევაში ვეცდები უკანასკნელ წუთამდე მოგყვეთ თქვენ ახალგაზდებს, რომელთა ბრძოლა საქართველოს გამარჯვებას მოუპოვებს. გიცქერით და თითქოს ოცდაათიორმოცი წელი მომცლოდეს ზურგიდან... საქართველო კვლავ აღსდგება, საქართველო გაიმარჯვებს!.. —თქვენის ხელმძღვანელობით, ბ-ნო სილიბისტრო, —მოსწრებულათ მიუგო გოგიმ: წარსულშიაც რომ არ გვყავდეს გმირები, ჩვენს წინ ბრძოლის ცოცხალი ისტორიაა. თქვენ გვასწავლით, გვიხელმძვანელებთ და დავიხსნით სამშობლოს...

გადაგვეხვია, გადაგვკოცნა... გზა დაგვილოცა.

ცრემლები!.. სიცოცხლის და ბრძოლის ცრემლები!..

— დარჩი? კარგია, შალიან მესიამოვნა! ეხლა საით?—მეკითხება.

— გურიისაკენ...

— წამოდი ჩემთან, აჭარით არტაანში მინდა გავიდე. იქ ცოლშვილი მყავს, ჩამოვყვან თფილისში და შემდეგ...—უარო უთხარი:

— გურიაში და შემდეგ ალბათ დედა-ქალაქში შევხდებით ერთმანეთს...

გამოვემშვიდობეთ, გადავკოცნეთ ერთმანეთი...

ტფილისი. გოგი ხელმძღვანელ პოსტებზეა. წინა რიგებში დგას და განა არ ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა!..

ჩეკის სარდაფი, მეტეხი, საგუბერნიო ციხე, ციხის საავათმყოფო... ისევ ჩეკის სარდაფი.. ისევ მეტეხი და ასე დაუსრულებელი ცირკულიაცია, სანამ უკანასკნელათ, ავათმყოფი, ძალზე დასუსტებული ციხის საავათმყოფოდან არ გაიყვანეს ჯალათებმა...

უკანასკნელ ჟამს, როდესაც საქართველოს საუკეთესო შვილნი, ხელფეხ შებორკილნი, საბარგო ავტომობილით ავაზაკებს გოლგოთაზე აყავდათ, თანამებრძოლნი, სიკვდილის პირზე მდგომნი, საოცარის ოსტატობით გოგის ბორკილიდან ანთავისუფლებენ... და ის არის... გადახტა!.. ის არის, უნდა გაუსხლტეს ჯალათებს ხელიდან, მაგრამ... იარაღი, ჯალათის ხელიდან გავარდნილი!.. ვის შეუძლია წარმოიდგინოს ის წუთები?! მას შეეძლო ესარგებლნა ბნელი ღამე და თავი გადაერჩინა, ამის უტყუარი ცნობებიც არის, მაგრამ მან იარაღს დაუწყო ძებნა და ვინც გოგის იცნობდა, უეჭველია, ის წარმოიდგენს: იარაღის ხელში ჩაგდება და უთანსწორო ბრძოლის მიცემა. ან სიცოცხლე ყველასი ან სიკვდილი მათთან,—საქართველოს საყვარელ შვილებთან ერთად. მაგრამ!.. პირველი თვით დაეცა...

* * *

ბრძოლის სტიქია... მეხი... მტრისათვის მრისხანება: დაუდეგარი, მოუსვენარი. დღეს სამშობლოს შინაური მტერთა შემმუსრავი, ხვალ გარეშესი... საქართველოს სადარაჯოზე მუდამ მისი მკერდი წინა რიგებში...

— ივლიანე!

«მეც მებრძოლ საქართველოსთან მინდა ვიყო. პოლიტიკა მე არ ვიცი. ეს თქვენი საქმეა. ვფიქრობ, აქ საჭირო იქნება იარაღი. მაცნობე. მგონი იარაღის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხმარას შევსძლებ. გამომიყენეთ. ყოველ წუთს მზათ ვიქნები თქვენს დაძახილზე.»

— ამ სიტყვებით მივიდა ის მებრძოლ საქართველოსთან. და მასთან ბევრი სხვა სახელოვანი მხედარი. ბევრმა მათგანმა თავი დასდო წარსულ ბრძოლებში, ზოგნი უცხო მხარეებშია გარდახვეწილი, ბევრნი დღესაც მებრძოლთა რიგებში დგანან...

ივლიანე დაუკავშირდა გოგის, რომლის სიდინჯე. აუჩქარებლობა—აი რა ამაგრებდა მას, თორემ რამდენი შემთხვევა ყოფილა, რომ—ეს არის გაიჭრეს ველათ. მძიმე იყო მისთვის ცდა. მას დღესვე ბრძოლა სწყუროდა. ბრძოლა იარაღით!..

მახსოვს თავისუფალი, დღესაც და მარად მტკიცე სვანეთის პირველი ბრძოლის მიცემა... ივლიანე მზათ არის, წავიდეს სვანეთში, მიუხედავად მგზავრობის სირთულისა, მაგრამ ნებას არ აძლევენ. გულის ტკივილით ემორჩილება დადგენილებას.

ტფილისში სცხოვრობდა ლეგალურათ. ახალი ბრალდება მისთვის არ წამოუყენებიათ, მაგრამ მისი წარსული ბოლშევიკებისათვის ხომ საკმარისი იყო და ის ჩეკაში ზის. დიდი ხნის ტანჯვის და წვალების შემდეგ ახერხებს და ჩეკიდან გამოდის...

ივნისი 1923 წ. მოსკოვი. აქაც მოუსვენარი, ნერვიული, წააწყდება ვინმე ბოლშევიკს. დათეთქვავს. ატუსაღებენ. დღეს პირველ კომისარიატში ზის, ხვალ მეორეში, ზეგ მესამეში და ასე დაუსრულებლათ 20 დღით, ერთის თვით, ერთი კვირით. სახელი დაიგდო ვიღაც ლოთი ქართველის. ის «კმაყოფილია», თუ გინდ ამ «ფირმით» ყინი მოიკლას... გაფრთხილება, მეგობრული დარიგება... სიტვას იძლევა. გადის დრო, თავისას არ იშლის, ვერ იტანს, ვერ ურიგდება ირგლივ გამეფებულ უკუღმართობას, გათახსირებას. მოსკოვში ერთ-ერთ სასტუმროში ატუსაღებენ საქართველოს მხედრებს: მუხრანბატონს და ყარანგოზიშვილს. ჩახავა მათ გვერდით ცხოვრობდა; მასაც ეძებენ, მაგრამ უსხლტება ჩეკისტებს ხელიდგან. რამდენიმე თვის შემდეგ ბრუნდება საქართველოში. «საზღვარგარეთ წამოსვლას საქართველოში სიკვდილი მირჩევნია»-ო.

მას არ გაუმართლდა ოცნება: არ ხვდა წილად ბედნიერება აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისა. ადრევე ატუსაღებენ და სიცოცხლეს ასალმებენ...

* * *

დღეს საქართველო დათალხული, მის გულმკერდზე მდულარე ცრემლთა ნაკადულები... ხვალ გაბრწყინებული, გამარჯვებული საქართველო ჯალათებს წინ გაიგდებს და მოსძებნის მათ, თავის ღირსეულ შვილთა საფლავებს...

იტყვიან:—ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგა, ისტორიის ფურცლებზე მათი სახელი აღიბეჭდება.

ამბობენ: — სამარადისოთ დაისადგურეს ერის გულში...

— ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად, მაგრამ ეს არ კმარა. ეს მათ მოიმოქმედეს. ჩვენ? სამშობლოს მოვალეობა მათ წინაშე?...

და მათ ხელქმნილი ძეგლი უნდა დაუდგას განთავისუფლებულმა საქართველომ, ისე როგორც საფრანგეთის ყოველ კუთხეში შეხვდებით სამშობლოსათვის მებრძოლ გმირთა ძეგლებს, რომელზედაც აღნუსხულია მათი ვინაობა...

და დაუდგამს კიდეც!..

ძეგლი სამშობლოს ყოველ კუთხეში, ყველა სოფელში, სადაც ერის საკურთხეველზე მსხვერპლი იყო მიტანილი და... სად არ იყო მსხვერპლი, სად ქვითინი, რომელ კუთხეში არ არის დაკარგულ თავისუფლების აღდგენისათვის ერის სისხლი დაქცეული?!..

ძეგლი ერთი გრანდიოზული დედა-ქალაქში, რომელზედაც უნდა აისახოს ერის ტანჯვა-წამება, მისი გოდება, მისი თავგანწირული ბრძოლა, მისი გამარჯვება. მასზე უნდა ამოიკვეთოს ყველა მებრძოლთა ვინაობა, საქათველოს რომელ კუთხიდანაც არ უნდა იქნეს, ბრძოლაში როლის განურჩევლათ.

და პირველ რიგში უნდა ამოიჭრას შეუპოვარი დიმიტრი ყიფიანის სახელი... სილიბისტრო, რომლის ცხედარიც კი ერუანტელს გვრიდა მტერს, საქართველოს სინდისის განსახიერება კოტე აფხაზი, სახელოვანი მხედრები: გენ. ანდრონიკაშვილი, გენ. წულუკიძე, მუსხელიშვილი და სხ., ერის ძალთა დამრაზმავი, უდიდესი ორგანიზატორი ნოე ხომერიკი; რაინდები: ბენია, ვალიკო, გოგიტა და სხვა და სხვა და ასე ბოლომდის, უკანასკნელ მებრძოლამდე...

ეს ძეგლი უნდა გახდეს და გახდება კიდეც ერის კულტი, საქართველოს სამლოცველო, მისი სამოქალაქო ტაძარი. თაობიდან თაობა მას მოუვლის, განაახლებს, გაამშვენიერებს. მასზე ისწავლის სამშობლოს წარსულს, მისთვის ბრძოლას, მისთვის თავდადებას...

ამ ძეგლზე ამოკვეთილ ათასთა და ათიათას სახელთა შორის საუკეთესო ადგილთაგანს დაიჭერს:

— გოგი... ივლიანე...

კასაბერი.

თურქესტანში.

(წერილი მესუთე)

წინანდელ ნუმერში დაგპირდით მოგელაპარაკოთ რეფორმების შესახებ თურქესტანში. ხოლო შეუძლებელია ლაპარაკი ყველა რეფორმაზე ან მათ უმთავრეს ნაწილზე—ამას მოუნდებოდა მთელი წიგნი. უნდა ითქვას სიმართლე, რომ «ჩვენი მიღწევები» ფრჩხილებში თუ უმისოთ, არსებითად, იწყება არაფრით. ავიღოთ მაგალითისთვის ჩვენი პრესა. რევოლუციამდე ეს თითქმის ცარიელი ადგილია. იყო სუსტი ცდა, რომელიც ვერ ხორციელდებოდა ან ჩვენი საკუთარის სიბნელისა ან ძველი მთავრობის ადმინისტრატიული ზომებისა გამო. ჩვენი სკოლები? თვითონ ვიყავი მუსულმანური სკოლის მოწაფე. განათლების მაგიერ გონებას უბრმავებდენ ბავშვებს, რომლებიც იშვიათ შემთხვევაში, როცა წამოიზრდე-

ბოდნენ, მერე თუ მოახერხებდენ წერაკითხვის შესწავლას...

მე ვიღებ ეროვნულ ცხოვრების, აგრე ვსთქვათ, ელემენტარულ მხარეებს. უსკოლოთ და უპრესოთ არ არსებობს ეროვნული ცხოვრება; ყოველ შემთხვევაში იგი არაფერში მყღავნდება.

და ამ ფართო ცარიელ ნიადაგზე მოგვეკლინა «საბჭოთა ხელისუფლება ეროვნული თვითგამორკვევის განსახორციელებლად», ე. ი. ეროვნული კულტურის შესაქმნელად გარეშე სახელმწიფოს გარეგნულ ფორმისა...

შევეხები აქ მხოლოდ რამდენსამე რეფორმას და ამით დავასურათებ საბჭოთა ეროვნულ აღმშენებლობას თურქესტანში. აი ეგრეწოდებული «გამიჯვნა ერებს შორის». ჩვენი ეროვნული მომავლისთვის ეს ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი საგანია. თურქესტანი წარმოადგენს ერთს ეროვნულ სხეულს. უზბეკები, ყაზახები (წინად რუსები «ყირგიზებს» ეძახდნენ), ყირგიზები (წინად «ყარა-ყირგიზები»), თურქმენები, ყარა-კალპაკები—ყველანი ერთს ხალხს შეადგენენ, ერთის თურქულის ენით, რომელიც ალაგ-ალაგ განსხვავდება გამოთქმით, და ყველას თავისუფლად ესმის ერთმანეთის ლაპარაკი. ერთად ერთი განსხვაყებული ეროვნული ჯგუფია—ტაჯიკები (ირანულ ჩამომავლობის). ისინი თურქებზე ადრინდელი მკვიდრნი არიან თურქესტანის და ცხოვრობენ მთლიანად აღმოსავლეთ ბუხარაში, ავღანისტანის საზღვარზე. დანარჩენი თურქესტანი დასახლებულია თურქებით ერთის ეროვნების, ერთის ენის და სარწმუნოების. ამას კარგად გრძნობდენ ადგილობრივი ბოლშევიკებიც, რომელთაც (რკპ-ის თურქესტანის ბიურო მუსულმანურ ორგანიზაციებისა) დაადგინეს 1919 წელს, რომ მოსპობილიყო თურქესტანელების დანაწილება უზბეკებად, ყაზახებად, თურქმენებად და სხ. და ყველასთვის დარჩენილიყო უბრალოთ საერთო სახელწოდება «თურქებისა». ამისდაგვარად უნდა შეცვლილიყო თურქესტანის კომპარტიის სახელიც—ნაცვლად სათემო უზბეკურ, თურქმენულ და სხ. სექციებისა უნდა ყოფილიყო ერთი «თურქული კომპარტია».

ამ გარემოებამ ძლიერ შეაშფოთა საბჭოთა მთავრობა, რომელმაც წინად გააძევა თურქესტანელი ავტონომისტები, თურქესტანის გაერთიანება რომ უნდოდათ ერთის ეროვნულის მართველობით,—და გადაწყვიტა ამ «პანთურქესტანულ განზრახვების» ჩაშლა. თურქესტანის რევოლუციის საბჭოთა ისტორიკოსი ს. მურავეისკი (რევოლუციონური მოძრაობის ისტორია შუა-აზიაში. ტაშკენტი 1926 წ.) ამბობს ამის გამო:

«მუსბიურო» გადაიქცა თურქთა მუსულმანურ ინტელიგენციის ნაციონალისტურ მისწრაფებათა თავშესაფარად. ადგილობრივ მასის ორგანიზაცია დაადგა მეტად სახიფათო გზას და ეროვნულმა ინტელიგენციამ მოინდომა საბჭოთა ხელისუფლების გამოყენება ეროვნულ თვითგამორკვევისათვის».

თავისთავად ცხადია, რომ დაუყონებლივ იქნა დაშლილი «მუსბიურო», რომლის ლიდერს რისკულოვს დღეს რსფსრ-ის სოვნარკომის თავმჯდომარის მოადგილის დიდი თანამდებობა უკავია, და ამ დღიდან ბოლშევიკებმა დაიწყეს თურქესტანის დანაწილება თემობრივი თვისების მიხედვით. 1924 წ. ეს დანაწილება მოხდა «ერების სახელმწიფოებრივი გამიჯვნის» სახით. ამგვარად შეიქმნა უზბეკსტანის და თურქმენსტანის ს. ს. რესპუბლიკები, ყაზახსტანის და ყირგიზსტანის ავტონომიები რსფსრ-ს ფარგლებში, ტაჯიკსტანის ავტონომია უზბეკსტანში და ყარა-კალ-პაკების ავტონომიური ოლქი ყაზახსტანის საზღვრებში.

თუ შედარებით რიგიანი მარქსისტი, კ. მარქსი მიესალმა იტალიის და გერმანიის გაერთიანებას, ბოლშევიკებმა, რომლებიც თავის თავს პირველ ხარისხოვან მარქსისტებად სთვლიან, თურქესტანის თურქების გაერთიანება გამოაცხადეს ფრიად მავნებელ მოვლენად.

იქ კ. მარქსი მიესალმა დანაწილებულ თემების გაერთიანებას ერთ ერად. აქ კი მისი მოწაფეები—ლენინიანები ცთილობენ ერთი ერის დანაწილებას თემებად და ეროვნულ თვითგამორკვევის ნაცვლად აპორციელებენ ძალდატანებით «თემობრივ თვითგამორკვევას».

ეს ხომ ძველის ძველი, რომაელების დროინდელი ამბავია: «დაანაწილე და იბატონე!»

ასე და მხოლოდ ასე ვუცქერით ჩვენ ერთის განუყოფელის თურქესტანის დანაწილებას ცალკე თემობრივ ერთეულებად. თუ მთლიანი თურქესტანი საშიში და სახიფათო სჩანდა რუსის ბოლშევიკური მთავრობისთვის, დანაწილებული თურქესტანი არანაკლებ სიძნელეს ჰქმნის ჩვენი მომავალი ეროვნული აღმშენებლობისთვის...

აგრარული რევოლუცია, ლენინის შემეცნებით, საფუძვლად უნდა დასდებოდა განმათავისუფლებელ რევოლუციას თურქესტანში და საერთოდ მთელ აღმოსავლეთში. 1927 წელს სტალინი ჩინელებს მიუთითებდა «ჩვენს საბჭოთა თურქესტანზე», სადაც არსებობდენ მხოლოთ გლეხთა საბჭოები, ე. ი. მართველობა იყო მხოლოდ რევოლუციონურ-გლეხური. ეს რა'აკვირველია, სრული სიცრუეა. ოკტომბერი ჩვენში დაიწყო «რუსის პროლეტარიატის დიქტატურის» გამოცხადებით და იმით, რომ თურქესტანელებს უფლება წაართვეს, მონაწილეობა მიეღოთ ხელისუფლების ორგანიზაციაში. რაც შეეხება რევოლუციის «აგრარულ საფუძველს» თურქესტანში, ამის შესახებ დავიმოწმებ უკვე ნახსენებ რისკულოვს. 1924 წ. რისკულოვმა მოსკოვის «პრავდაში» (თებერ.) მოიგონა თავისი შეხვედრა ლენინთან 1920 წელს: ლაპარაკი ჩამოვარდა ამ «აგრარულ საფუძველზე». ლენინს ჰკითხა რისკულოვმა, რომელიც მაშინ, არ ვიცი, თურქესტანის ც. კ. თუ კომისართა საბჭოს თავმჯდომარე იყო: თურქესტანის პირობების მიხედვით, ვინ უნდა ითვლებოდეს კულაკად და ვინ ღარიბად. და რისკულოვი აღიარებს, რომ ლენინმა ვერ მომცა «მარქსისტული სწორი პასუხი».

ეს იყო მაშინ (1920 წ.), როცა თურქესტანში დაღუპული იყო უკვე ორი მილ. მკვიდრი!

ნუთუ შესაძლებელია რევოლუციის «აგრარულ საფუძველზე» ლაპარაკი იქ, სადაც არც მთავარმა ხელმძღვანელმა და არც ფრიად პასუხისმგებელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწაფემ არ იცის, თუ ვინ უნდა იგულისხმებოდეს კულაკად და ვინ ღარიბად?

უნდა ვიფიქროთ, რომ «აგრარულ საფუძვლად» მიიჩნდათ ყაზახ-ყირგიზთა მიწების დატაცება გადმოსახლებულ რუსების მიერ! ბოლშევიკ საფაროვს მოყავს ცნობები, რომ ბოლშევიკების ბატონობის პირველ ორი წლის განმავლობაში რუსების მიწის ფლობელობა გაიზარდა 37 პროცენტიდან 74-მდის. გარდა ასეთი «აგრარულ რევოლუციისა» თურქესტანში არა მოხდარა რა. და საბჭოთა მთავრობამ, თურქესტანელ გლეხების უნაყოფო ამხედრების შემდეგ თავის «მემამულე ბატონების» წინააღმდეგ ხუთი წლის განმავლობაში, გადასწყვიტა... «მიწის რეფორმის» მოხდენა.

ამ რეფორმის არსება გამოიხატება იმაში, რომ მიწები უნდა ჩამოერთვას შეძლებულთ და გადაეცეს ღარიბებს. ამის ფაქტიური განხორციელება დაიწყეს 1925 წ. დამდეგს. სავსებით შესრულებულია მხოლოთ უზბეკისტანში. დანარჩენ თურქესტანში მხოლოდ ნაწილობრივ განახორციელეს. მოვიყვან ზოგიერთ ციფრს რეფორმის შესახებ უზბეკისტანში. ყველაზე უფრო «მსხვილ მემამულეების» ოლქებია ტაშკენტის, ფერგანის და სამარყანდის, აქ მემამულეებისა და მსხვილ ვაჭრებისაგან ჩამორთმეულ მიწების რაოდენობა უდრის... 90 ათას დეს. სულ ამ ოლქებში, თუ მივიღებთ მხედველობაში მეჩეთების, ემიგრანტების ადგილებსაც, ჩამორთმეულია 130 ათასი დეს. მთელს უზბეკსტანში (ამაში შედის ბუხარა და ხივაც), სადაც მიწის რეფორმა დამთავრდა ამ თვენახევრის წინად, ჩამორთმეული მიწები შეადგენს 280 ათას დეს. ნაანგარიშევია როგორც სარწყავი, ისე ურწყავი ადგილები. შევადაროთ ეს 280 ათასი დესეტინა შემდეგს ციფრებს: მხოლოდ სარწყავი ადგილი უზბეკისტანში 1914 წ. იყო დაახლოვებით 2 მილ. ნახევარი დესეტინა, მცხოვრებთა რიცხვი კი იყო 5 მილ. ნახევარი სული. მხოლოდ მცირე შეძლების და უმამულო მკვიდრთა ერთი მეოთხედის დაკმაყოფილება შეიძლება ამ 280 ათასით და ისიც ნაწილობრივად.

მიწის სიმცირე უზბეკისტანში წარმოსდგება არა «მსხვილი მემამულეების» არსებობიდან, არამედ იმისგან, რომ ცოტაა სარწყავი ადგილი, და აგრარული საკითხის გადაჭრა შეიძლება მარტო სარწყავი მიწების გადიდებით და ახალ დასამუშავებელ მიწების გამოძებნით. აქედან უნდა დაწყებულიყო «მიწის რეფორმა» თურქესტანში.

მერე როგორ განხორციელდა ხსენებული რევოლუციონური «რეფორმა»! ამ «რევოლუციის» გამარჯვებისათვის საჭირო შეიქნა... შარიატის ჩარევა საქმეში. უზბეკისტანის მუსულმანურმა სამღვდელოებამ მოწოდება გამოსცა, რომ საბჭოთა «მიწის რეფორმა» არ ეწინააღმდეგება შარიატს. ბოლშევიკებმა არამც თუ მიიღეს ეს თანამშრომლობა, არამედ ყოველნაირად ავრცელებდენ ხალხში სამღვდელოების მოწოდებას.

რასაკვირველია, ბოლშევიკებს თავის რეფორმით მიწის საკითხის გადაჭრა კი არ უნდოდათ, არამედ მარტო «კლასიური ბრძოლის» გაჩაღება უზბეკთა შორის. გასაოცარი საქმეა: მარშან იანვარში უზბეკისტანის მიწათმოქმედების კომისარმა ცირკულარი გამოსცა, სადაც სასტიკად დასჯას ემუქრება ყოფილ მემამულეებს თავის მიწების უკან მიღებისათვის ახლანდელ მფლობელებისაგან... უზბეკისტანში ბევრგან ახალი მეპატრონეები საკუთარის ნებით უბრუნებენ მიწას წინანდელ მესაკუთრეებს...

უადგილობისა გამო, სამწუხაროთ, ვერ შევჩერდები სხვა რეფორმებზე. კერძოთ ფრიად მნიშვნელოვანია ქალთა საკითხი, რომელსაც ბოლშევიკებმა «კლასიური ელფერი» მისცეს. «მიწის რეფორმისთვის» რომ შარიატის დახმარება შეიქნა საჭირო, რომ ამ «რეფორმას» დღეს თითქმის იარაღით იცავენ ბოლშევიკები—ეს იმას მოწმობს, რომ თურქესტანში ჯერ «კლასიური ნიადაგი» არ არსებობს. ასეთი «ნიადაგის» გამოძებნა ქალთა საკითხისთვის—ქალთა კარჩაკეტილობის მოსასპობად—მეტად აფერხებს საქმის წარმატებას. განა მწარე ირონია არაა ბოლშევიკურ «კლასობიისათვის», რომ შუა აზიის ც. კ. ბიუროს ოფიციალურ ორგანოში კომუნისტი როგოვი მოუწოდებს «პროგრესიულ მოლებს», გამონახონ ყურანში სიტყვები ქალის პირახდილობის დასაცავად!

არსად ბოლშევიკებს არ შეხვედრიათ იმდენი წინააღმდეგობა როგორც აქ. კვირა არ გავა ისე, რომ ამ ნიადაგზე არ მოხდეს მკვლელობა. ციხეში ჩაგდებამ და დახვრეტამ ვერ შეაჩერა «რევოლუციის საწინააღმდეგო» ბოროტმოქმედება. ბევრი პასუხისმგებელი მომუშავე პირახდილად არ უშვებს თავის ცოლს. ზოგმა ასეთ ხერხს მიმართა: «ევროპიული ცოლი» შეირთო, რომელიც რევოლუციონურად პირახდილი დადის ქუჩებში, მაგრამ ამასთანავე მას კარჩაკეტილი ჰყავს თავისი «მუსულმანური ცოლები».

ესაა უდიდესი მორალური მარცხი რევოლუციისა! ამაშია უზბეკისტანის და მთელი თურქესტანის «რევოლუციონური პროლეტარიატის დიქტატურის» სიყალბე!

რამდენად თურქესტანის ეროვნული მოღვაწენი წინააღმდეგნი ვართ ჩვენი ქვეყნის თემობრივ დანაწილების, რამდენად ერთსულოვანნი არა ვართ მიწის საკითხის შესახებ, იმდენად—ვფიქრობ—ერთსულოვნად თანავუგრძნობთ ქალთა რეფორმის განხორციელებას.

მე მარქსისტი არა ვარ, ხოლო შეუძლებელია კლასობრივი ბრძოლის უარყოფა. საუბედუროთ ბოლშევიკებმა ეს ბრძოლა გადააქციეს პრინციპად და სადაც არ არსებობს, ხელოვნურად ჰქმნიან. თურქესტანის სინამდვილე ამის ბევრს მაგალითს იძლევა.

ასეთი მუშაობა უნაყოფოთ არ რჩება და ახალი თურქესტანის ეროვნულ ძალებს წინ გვიდევს მეტად მძიმე სამუშაო, რომ რაც შეიძლება უმტკივნეულოთ გავწმინდოთ თურქესტანი ბოროტი ნათესისაგან.

მუსტაფა ჩოკაევ.

უცხოეთის მიმოხილვა.

ლიტვინოვის ფესტი

თქვენ გახსოვთ, როგორის გაშმაგებით ესხმოდა თავზე კიდევ ჩიჩერინი კელოგის პაქტს, გამოჰქონდა იგი, როგორც იმპერიალისტთა უდიდესი შეთქმულება ს. ს. რ. კ.-ის წინააღმდეგ. პაქტზე ხელსმოწერის დღისთვის კომინტერმა მობილიზაციაც კი გაუკეთა თავის ძალებს «მსოფლიო მასშტაბით» და პარიზში, სადაც 15 სახელმწიფოს საგარეო მინისტრები შეიყარენ, დიდი დემონსტრაცია დანიშნა «პროლეტარულ პროტესტის» ნიშანად. რასაკვირველია, როგორც მობილიზაცია, ისე დემონსტრაცია სასაცილო-საოხუნჯოთ დამთავრდა ყოველგან, რადგან კომინტერნის «მილიონები» მხოლოდ ქაღალდზედაა, ნამდვილათ რაც იყო ცოტა ძალები, ისიც იშლება და იხრწნება ყველგან, მოსკოვის სუბსიდიების ძალზე შეკვეცის-გამო.

და სწორეთ ამ დროს, როცა გეგონებოდათ, რომ მოსკოვი უცხადებს პაქტს სამკვდრო-სასიცოცხლო ომს, იმავე ჩიჩერინმა, როგორც კომინტერნის, ისე ყველა ქვეყნის კომპარტიების ზურგს უკან, მოლაპარაკება გამართა, საფრანგეთის საშვალებით, პაქტზე ხელის მოსაწერათ უპირობოთ, ერთი მძიმის შეუცვლელათ! მან ხელიც მოაწერა და რატიფიკაციაც გაუკეთა თვით ვაშინგტონის ადრე, საიდანაც პაქტი გამოვიდა! ამით ჩიჩერინს თითქო იმის დამტკიცება სურდა, რაც არავის სჯერა: საბჭოთა მთავრობა სხვაა და კომინტერი კიდევ სხვაა.

ყოველ შემთხვევაში, ლიტვინოვმა უფრო «გააღრმავა» მისი შეფის დაწყებულება და მიმართა პოლონეთს და ლიტვას ნოტით: კელოგის პაქტის რატიფიკაციას რაღაც აგვიანდება, მოდი, დღესვე გავხადოთ იგი ჩვენთვის სავალდებულოთ და ამისათვის ცალკე ოქმს მოვაწეროთ ხელი, რომლის პროექტს აქვე გიგზავნითო. პოლონეთმა შეუთვალა მოსკოვს: კარგი აზრი მოგსვლია, პრინციპიალურათ გეთანხმები მხოლოდ რატომ ბალტიის რესპუბლიკებს და რუმინიას არ მიმართე იმავე წინადადებით, მაშინ როდესაც ლიტვა მოიწვიე, რომელთანაც მოსაზღვრეც არა ხარო, თან მე ერთი 15 ხელმომწერთაგანი ვარ (ხმელეთის მეექვსედი არ დაუშვეს პარიზში!), საჭიროა შევუთანხმდე ჩემს კოლეგებსო.

და გაიმართა დიპლომატიური ჭადრაკი ვარშავასა და მოსკოვს შორის, ვინ ვის გაამბამს ხაფანგშიო; მაგრამ ამასობაში ვაშინგტონის სენატმა და კულიჯმა დაამტკიცეს პაქტი და აქედან ლიტვინოვის წინადადება მდოგვად იქცა ვახშმის შემდეგ! ჭადრაკი გრძელდებოდა თავის თავათ, ლიტვის თავმჯდომარე ვოლდემარასი ნაბიჯებს სდგამს რიგასა და რეველში, უჩივის პოლონეთს ყენევაში, ომი სწყურია ჩემს წინააღმდეგ, თორემ მოსკოვის ასეთ ჩინებულ წინადადებას აბა ვინ არ შეუერთებაო. ამითაც არაფერი გამოვიდა, ლიტვინოვი უკან იხევს და თანხმდება ბალტიის რესპუბლიკების და რუმინიის მოწვევაზე და, ამ რიგათ, ოქმს ხელს აწერენ. მას სურდა სულ სხვა: პოლონეთის გამოთიშვა მეზობლებისაგან, ნამდვილათ კი მიაღწია წინააღმდეგს, კიდევ უფრო დაახლოვებას. ვინ მოიგო? რასაკვირველია ვარშავამ.

მაგრამ, თუ ლიტვინომა ცოტათი მაინც ხელი შეუწყო მშვიდობიანობის განმტკიცებას აღმოსავლეთ ევროპაში, ესეც არაა ურიგო, თუმცა საეჭვოა, რომ მან ამისათვის ნობელის პრემია მიიღოს...

რატომ? იმიტომ, რომ მისი მოტივი სულ სხვა იყო, სახელდობრ ისა, რომ ამერიკის გულის მოგება სურდათ, სადაც შეიმანი ორი თვეა წელებზე ფეხს იდგამს, ცოტა რამ სულის მოსაბრუნებელი უშოვოს მოსკოვს. მაშასადამე, ლიტვინოვიც არაფერ შუაშია: მას უბრძანეს პოლიტბიუროდან, ჩქარა რამე ოინი გააკეთე, თორემ ვიღუპებითო. მანაც გააკეთა. რა მისი ბრალია, თუ ცოტა ტლანქი გამოდგა მისი ფესტი.

ტყვე-ხელმწიფენი.

ბოლო მოეღო რომის პაპის ტყვედ ყოფნას, რააც მან თვითონ გამოუცხადა თავის თავს. სამოცი წელი იქნება ჩქარა, მას შემდეგ რაც გაერთიანებულმა იტალიამ იარაღით დაიპყრო რომი და თავის დედა-ქალაქად აქცია. პაპი არ გამოდიოდა მსოფლიოში უდიდეს სასახლიდან, წმინდა პეტრეს ტაძარიდან, ბაღიდან (რაღაც 50 ათასი ოთხკუთხი მეტრი, ვატიკანად წოდებულიდან) და ფეხს არ სდგამდა იტალიის ტერიტორიაზედ, პროტესტის ნიშნად. საპროტესტო კი ჰქონდა, მართალი უნდა ითქვას. პაპი დასაბამიდან არა მარტო წმინდა პეტრეს, არამედ რომის იმპერატორების მოადგილედ სთვლიდა თავის თავს. რომის დაპყრობის შემდეგ მან დაჰკარგა საერო უზენაესობა, ხოლო სასულიერო ხელუხლებლათ შერჩა. «ტყვეობამ», რომელსაც ბევრი მეფე ინატრის, კიდევ უფრო გაზარდა მისი შარავანდედი, ასე რომ მაინც და მაინც არც კი მიისწრაფოდა კვირინალთან (მეფის სასახლე) შერიგებისაკენ. პირიქით, იტალიის მეფე-მთავრობები ცდილობდენ შერიგებას, ცალმხრივი დეკრეტით ბევრი უპირატესობანიც კი მიანიჭეს ვატიკანს, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს.

სხვისთვის მიუღწეველი დუჩემ განახორციელა! პაპი თავის ტერიტორიაზედ თითქო საერო სუვერენადაც ხდება, რამდენიმე ათასეული ოთხკუთხი მეტრი კიდევ ეძინება მის სამფლობელოს, იღებს იტალიის ხაზინიდან კარგ დარგვალებულ თანხას «ზარალის ასანაზღაურებლათ», ჰკრავს იტალიასთან კონკორდატს, რომლის ძალით კათოლიკური ეკლესია და სასულიერო წოდება დიდ უფლებებს იღებს ახალგაზდობის სწავლა-აღზდაში...

ვატიკანსა და კვირინალს შორის მიღწეული შეთანხმება უეჭველათ მოასწავებს იმას, რომ პირველი ფორმალურათ ადასტურებს იტალიის დღევანდელ რეჟიმს-ფაშიზმს, ხოლო მეორე ცნობილობს პაპის გავლენას ხალხზედ. ამ რიგათ, სარწმუნოება და პოლიტიკა ხელს აძლევენ ერთმანეთს, რათა გააძლიერონ თვითეულის ძალა-უფლება და პრესტიჟი.

დიპლომატიური განწყობილებაც მათ შორის აღდგენილია, მაშასადამე, ელჩს, რომელიც დანიშნულია ვატიკანთან, არ აღეკვეთება კვირინალში შესვლა, და წინაუკმო. შეთანხმებას უთუოთ დიდი შედე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გები მოჰყვება საერთაშორისო ცხოვრებაშიც. პაპს ისედაც ჰყავდა თავის კარზედ სხვა სახელმწიფოების ელჩები და თვითონაც აგზავნიდა სხვების კარზედ, და აქ ესენი უხუცესად ითვლებიან. ამიერიდან ის ალბათ მოისურვებს უფრო რეგულიარულ განწყობილებას ყველასთან და ერთა ლიგაშიც წარმომადგენელის გაგზავნას. ამას თუ დაუმატებთ, რომ პაპი არ ითაკილებს მომავალში თავის სამწყსოს მოვლას, და ეს კი ვრცელდება თითქმის მთელ მსოფლიოზედ, მისი გავლენა კიდევ უფრო გაიზდება და შეუძლია თვითეულ ქვეყნის შინაურ საქმეებშიც კიდევ უფრო დიდი როლი ითამაშოს.

საბჭოთა საქართველოში

საბჭოთა გოჯა-ხალხმა ერთი ახირებული დიპლომატია იცის: როცა ქვაც კი გაიგებს საბჭოთა ამა თუ იმ სიგლახეს, მაშინ ხელისუფლებაც დაჰკრავს ბუკსა და ნაღარას, რათა ქვეყანას აცნობოს ის, რაც უკვე ცნობილია და აღარ დაიმალება. ეს ნაცადი ხერხი ერთხელ კიდევ გამოსცადა ჩვენში სასამართლომ, სახელდობრ ვინმე ბახტაძის პროცესზე (17 იანვრის «კომუნისტი»). ბახტაძე ბოლშევიკური წოდებიდან გამოსული ტარიელია და თაფლის მდინარეზე პირის დაყობის გარდა არა უწყის რა. საბჭოთა ასპარეზზე ის კომსომოლის ხარისხამდე ასულა და წითელი ცდომის ვაშლის გემოც გაუსინჯავს: ხულიგანობა, ლოთი-ფოთობა, მეძავი ქალების დევნა. და აი, როგორც გლახა ქურდი განიდევნება ხოლმე დახელოვნებული ქურდების წრიდან, ისე ბახტაძეც განიდევნა, ერთობ გვიან თავისი მრევლიდან, რადგან ის არ აღმოჩნდა პროფესიონალი ბოლშევიკი. კარგი ბოლშევიკი რომ ხალხში გამოვა, ბურჟუაზიულ კოსტიუმზე პროლეტარულ კონკებს გადაიცვამს; ქალაქიდან თუ სოფელში წასვლა მოუხდა, პაიჭითა და ნაბდით მოირთვება, კიოლოს გლეხურად გადაიკეთებს. მივლინების შემდეგ იგივე პიროვნება ისევ განცხრომის მორევში შეტოპავს და სთვლემს საამო თავდავიწყებაში. ის ფრთხილი და მუხთალია. ბახტაძე კი ასე როდი მოიქცა. მან ქვეყანას გადასძახა, ტარიელი ვარო; ამით მან «სოციალისტური უმარულის» სქელი ფენა პირისახიდან მოირეცხა და ლენინის სულიერი ამბორის მიერ დატოვებული პოლიტიკური კეთროვანება საჯაროთ გამოაჩინა. დიდ ხანს მის წინააღმდეგ ხმა ვერავინ ამოიღო. ბოლოს დაიწერა კორესპოდენცია, რომლის ავტორობა ბახტაძემ დასწამა ვინმე ვაჩეიშვილს და სამართლის გასაჩენათ მიუგზავნა განიერი მხარ-ბეჭის მქონე ბრეგვაძე. ამას უნდა დაეშინებია კორესპოდენტი ერთხელ და სამუდამოთ. როცა ეს გაიგეს ცენტრში დიდი ყალაბის ტარიელებმა, გადასწყვიტეს პატარა ტარიელის საჯაროთ გასამართლება და სანახაობის მოწყურებულ მრევლს უჩვენეს კიდეც მორიგი ტანცი-მანცია. წითელი თუ მოწითალო კორესპონდენტი პირველად ყოვლისა პოლიტიკური დაზვერვის იარაღია და ავსებს საბჭოთა საიდუმლო პოლიციის უამრავ რიგებს. ის მოჩვენებითი თაყვანისცემა, რომლითაც მას ეპყრობიან, მისი ასეთი როლით აიხსნება. ამიტომ გასაგებია, რომ პროცესზე სიტყვების კორიანტელი დააყენეს და ბრალდებულის თავზე ქარსა და მეხს მოუწოდეს. დიდი საქიებელი და თავსატეხი სასამართლოს არაფერი ჰქონია, მაგრამ პროცესი მაინც არ დარჩა ინტერეს მოკლებული; მან გამოამზეურა კომპარტიის შინაური ცხოვრების ისეთი მხარე, რომელსაც ამდენი ხანია აფარებენ დახეულ ფარაჯას, მაგრამ მაინც ვერა მალავენ. ამ დუხჭირ ყოფას პროკურორმა გადაგვარება უწოდა და არც შემცდარა ტერმინის გამონახვაში. როგორც პროცესზე აღნიშნეს, ბრალდებული ბახტაძე არ ყოფილა პატარა კაცი. ის საკონტროლო კომისიაში მუშაობდა. მაგრამ როგორ მიანდვეს მას სხვისი კონტროლი და გაწმენდა, თუ თვითონ სიბილწის ჭურჭლის გარდა არა იყო რა? თუ ოდესმე ამ გარდაუვალი წინააღმდგობის დანახვას ხელი შეუშალა საბჭოთა უცოდველობის იაფმა რეპუტაციამ, დღეს ეს წინააღმდეგობა იმდენათ ცხადია, რომ ბახტაძის პროცესზე განგებ მორეკილ ბნელეთის ლაშქარს კრინტიც არ დაუძრავს, როცა წითელმა პროკურორმა დორბლში განალესი საბრალდებულო სიტყვით არსებითად ბრალი დასდო არა ბახტაძეს, არამედ ბახტაძეების პარტიას—ამ გარეწართა და ზნეობრივად დასნეულებულთა თავშესაფარს.

ჩვეულებისამებრ პროცესზე ბევრმა სახაზინო ოქროპირმა იოლაპარაკა. ბრალდებული ჩაქოლეს, როგორც ურიასტანის შვილები ჩაქოლავდენ ხოლმე მეძავ დედაკაცს. მაგრამ იმის თქმა, რომ ხულიგანობა ზოგადი და ნიშანდობლივია მთელი პარტიისათვის, აზრათ არავის მოსვლია. რა ეწოდება კომუნისტ ბახტაძის დანაშაულს? გადაგვარება, პარტიული პრივილეგიების ბოროტად გამოყენება, გარყვნილება (მეძავი ქალების ექსპლუტაცია). მაგრამ ეს ხომ მთელი ბოლშევიზმის სტატიური მდგომარეობაა? ჩამოაცალეთ ის ოფიციალური შარავანდედი, რომელიც ბოლშევიკური მითოლოგიის ძალით ზენაარსმა კომპარტიას თავზე დაანათლა, და მაშინ ბრალდებულ ბახტაძეში ყველა იცნობს თავს, ნაცართა-უხუცეს ცხაკაიადან პარტიის უკანასკნელ კაცუნამდე. ბახტაძის სახით სასამართლოს თეთრი შაშვი კი არ ჩაუგდია ხელში, არამედ ჩვეულებრივი კომუნისტი.

ერთი ჩარჩის ბავშის ჰკითხეს, ორჯერ ორი რამდენიაო.—ოთხი კაპეიკიო,—უპასუხა. ამის არ იყოს კომუნისტზე შეუცნობლათ ვრცელდება სულიერათ დამაძაბუნებელი და გამრყვნელი გავლენა საბჭოთა გარემოსი, ის იმ განძით იკაზმება, რა განძიც მოეპოვება თავის პარტიის საოჯახო სკივრში: პარტიული ბილეთი და ნაგანი. ეს ორი რამ ყოფილა, როგორც აღნიშნა ეს პროცესზე ერთმა კომუნისტმა, ის მთავარი საშვალება, რომლითაც ძალდატანება და ანარქია ხორცილდება. ეს გასაგებია, რადგან ბოლშევიკობის ბილეთი არის ის ყალბი თამასუქი, რომლის სიყალბე ყველამ იცის და რომლის განაღდებას ნაგანის მფარველობა სჭირია.

მართლაც, მართველობის ყოველგვარ ფორმას აქვს თავისი პრინციპი: ერთს—ღვთაებრივი უფლება, მეორეს—უფლება და სუვერენობა დემოკრატიისა და საბჭოთა სისტემის არსებობის საშვალება ძალდატანებაა. საბჭოთა იდეოლოგიის მადლი და მიროონი ძალმომრეობის თეორიაშია. ამ თეორიის ცხოვრებაში გატარება გადაიქცა სოვეტების უმაღლეს მიზნათ, და იმ მიზნის სამსახურში მოწოდებულია ბნელი ინსტინქტი საზოგადოების ფსკერიდან ამოგდებული მახინჯი ადამიანისა.

საერთო თავისუფლების ალაგმვის შემდეგ ძალდატანების თეორიის საცდელ მინდვრად თვით კომპარტია გადაიქცა და დაპირებული პარტიის სუვერენობა შესცვალა დეკრეტების სუვერენობამ. ეს ფატალური შედეგია ისეთი იდეოლოგიისა, რომლის წყარო მხოლოდ ფანატიზმი და წარმართული ყინიანობაა. თუ ასეთ პირობებში პარტია გადაიქცა ზნეობრივად ეპვ-მისატან ინსტიტუტად, ეს გასაკვირი არაა. კვიცი გვარზე ხტისო, ნათქვამია და საქართველოს კომპარტიაც რუსულ მალაყებზე გადადის. ქართველი კომუნისტი პატრონის მანერას არამც თუ გადმოიღებს, გადმოხატავს კიდეც. ამიტომ ბახტაძის მაგალითი სრულიად არ არის გასაკვირი. გასკვირი ისაა, რომ მას საპყრობილის შემდეგ საქართველოდან ხუთი წლით გაძევება მიუსაჯეს. რატომ? თუ ბახტაძე გადაგვარდა და მაზრაში სამუშაოდ აღარ ვარგა, თუ მისი სამაგალითო დასჯა გინდათ, მაშინ ცენტრში წაიყვანეთ და კომისრად დასვით, იქ ხომ მაიც ივარგებს. მაგრამ არა, საბჭოთა კეთროვანი არსება დემონსტრატიულათ იგლეჯს სხეულიდან ერთ ჩირქიან მუწუკს და აგდებს, თითქოს ამით კეთროვანებაც მოიშორა. ... ნამდვილი გენიოსობა! ქართველი დამნაშავე უცხო ცის ქვეშ გადააგდე და უცხო ტომის სისხლის სამართლის დამნაშავეთ მიეც საქართველოს ცა საგინებელად და საქართველოს მიწა სათარეშოდ!

ვა იმ მსაჯულის გოგრას, რომელმაც ასეთი სიბრძნე გამოჩეკა.

ოა.

რას სწერენ ბოლშევიკებზე

გერმანულ გაზეთების სიტყვით გერმანიის კომუნისტური პარტიის მდგომარეობა არასოდეს ყოფილა ისე აწეწილ-დაწეწილი როგორც დღესაა. გასული თვის დამდეგს შესდგა მარჯვენა ფრთის თათბირი, რომელზედაც გადაწყდა გერმანიის მემარჯვენე კომუნისტების კონფერენციის მოწვევა იანვრის 30-ვის. თათბირზე ორატორებმა დაჰკმეს სტალინის პოლიტიკა და გამოაცხადეს, რომ გერმანელი კომუნისტები მოსკოვის უბრალო აგენტები არიან და სრულებით არ შეადგენენ დამოუკიდებელ პარტიას. ბრანდლერმა მოითხოვა, რომ უნდა დაარსდეს ახალი პარტია, საშუალო კომუნისტებსა და სოც.-დემოკრატებს შუა. პარლამენტის კომუნისტურ ფრაქციებში და მუნიციპალიტეტებში ცხარე ბრძოლაა «მემარჯვენეთა» და «სტალინის მომხრეთა» შორის. «მემარჯვენეები» ამბობენ, რომ ესაა ბრძოლა «ევროპიულ» და «რუსულ» კომუნიზმის.

—

ახლო მომავალში გაიმართება გერმანიის ს.-დემ. პარტიის კონგრესი. რომელზედაც სხვათა შორის გარჩეული იქნება საკითხი «თავის დაცვა და მუშათა კლასი». საამისო კომისიამ გამოაქვეყნა საკითხის მთავარი დებულებანი, რომელთა გარშემო უკვე დაიწყო კამათი. საგანს შეეხო კ. კაუტსკიც ეხლახან დაბეჭდილ წიგნაკში, ავტორი არკვევს ომის შესაძლებლობას და ამბობს, რომ საფრთხეს წარმოადგენენ შეიარაღება-გაჯიბრების, ნაციონალიზმი, ფაშისტური და ბოლშევიკური დიქტატურა, თუმცა უკანასკნელს დიდს მნიშვნელობას არ აძლევს: მართალია მოსკოველებს ძალიან სწყურიათ ომი, მაგრამ მეტად უძლურნი არიან და ვერასოდეს გაბედავენ შეტევითს ომს. მერე კაუტსკი ეხება საერთოდ სამოქალაქო და საგარეო ომს და ასეთს შეხედულებას გამოსთქვამს: «იქ სადაც დამკვიდრებულია დემოკრატია, სოციალიზმი უარყოფს შეიარაღებულ ბრძოლას კლასთა შორის. იგი ამგვარადვე უარყოფს იარაღის ხელში აღებას სახელმწიფოთაშორისო დავის დროს. მას შემდეგ რაც არსებობენ სამედიატორო დაწესებულებანი, რომელთაც შეუძლიათ უთანხმოებათა მოწესრიგება. სადაც ასეთი პირობები არსებობენ, იქ სოციალიზმი ებრძვის სამოქალაქო ომს და აგრეთვე ომს სახელმწიფოთა შორის, რომელსაც სთვლის ბოროტმოქმედებად.

ხოლო იქ, სადაც შეიარაღებულის ძალით უნდათ წაართვან ხალხს დემოკრატია, ხალხს უფლება კი არა, მოვალეობა აქვს იბრძოლოს ყოველგვარის საშუალებით. ასეთივე უფლება და მოვალეობა არსებობს მაშინაც, როდესაც მთავრობას არ უნდა ნაციათა ლიგის შემწეობით მოაწესრიგოს თავისი უთანხმოება მეორე სახელმწიფოსთან, და მიმართავს იარაღს.»

—

ინგლისურ «დეილი ტელგრ.» იბეჭდება მეტად საინტერესო წერილები, ცნობილი მოგზაურის და სამხედრო კორესპოდტის ბარტლეტისა, რომელმაც ამას წინად მოიარა რუსეთი. ბარტელეტის აზრით, რუსეთში დიდი უკმაყოფილებაა ბოლშევიკების რეჟიმით, მაგრამ არავინ იფიქროს, რომ ბოლშევიზმს დღესვე მოვლოდეს დამხობა. ბოლშევიკები სრულებით განცალკევებულნი არიან, ხალხი მათ არ ლებულობს. კომუნისტური რეჟიმი მეტად ძვირი ექსპერიმენტი გამოდგა, რომელმაც რუსეთი ქაოსში გადააგდო. დღეს რუსეთისათვის ასე დგას საკითხი: ან იგი უნდა გადაიქცეს გალატაკებულ გლეხების ქვეყანად ან და ბოლშევიკებმა ხელი უნდა აიღონ თავიანთ პრინციპებზე და სახელმწიფო დაუბრუნონ ნორმალურ პირობებს... აწანდელი კრიზისის ერთი მთავარ მიზეზთაგანი ისაა, რომ ბოლშევიკებს არავითარი შემოქმედებითი მუშაობა ირ შეუძლიათ, საბჭოთა რუსეთში დღეს არ მოიპოვება არც ერთი სახელმწიფო მოღვწე... ხელმძღვანელ კომუნისტების უკანასკნელი დროის მოქმედება გლეხების შესახებ ამსხვრევს თვით რევოლიუციის საფუძველს: სოვხოზების და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლხოზების მოწყობით გლეხებისათვის კონკურენციის გაწევა ნიშნავს იმას, რომ გლეხს ეკარგება ყოველი სარგებლობა, რომელსაც მიწა იძლევა; მაშასადამე მიწას აღარ აქვს ფასი და მიმზიდველობა, ხოლო მიწა კი იყო ერთად ერთი ძვირფასი რამ, რაც რევოლიუციამ მოუტანა გლეხებს. ბარტლეტი ფიქრობს, რომ ბოლშევიკების ბრძოლა გლეხებთან დამთავრდება უკანასკნელების გამარჯვებით.

—

საფრანგეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ჰერიო, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინათ იცნო ბოლშევიკური რუსეთი, დღეს სწერს გაზ. «ერ ნუველში»: «ჩვენ სამართლიანად მოვეპყარით რუსეთის რევოლიუციას. მაგრამ საბჭოთა რეჟიმი თანდათან გადაიქცა რელიგიად, სქოლასტიკად, რომელიც შეიძლება გამოსადეგი იყოს ნახევრად-აზიურ მასებისათვის, ხოლო არა ჩვენთვის. ბოლბევიზმი დღეს ცოცხლობს მარტოოდენ პოლიციური ტერორის შემწეობით. არსებობის ათი წლის შემდეგ—ეს სრული გაკოტრების ნიშანია.»

უკრაინელთა შორის

პარიზის უკრაინული ბოლშევიკური გაზეთი «უკრაინსკი ვისტი» პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ საფრანგეთის ადმინისტრაცია უკრაინელ მოქალაქეებს კარტ დ-იდანტიტეში (პირადობის მოწმობა) აღნიშნავს რუსებად და არა უკრაინელებად. გაზეთი მოითხოვს ამის აუცილებლივ გასწორებას.

— უკრაინელ გარდმოხვეწილთა წარმომადგენელმა ალ. შულგინმა ნაციათა ლიგის საბჭოს თავმჯდომარეს ქიღალდი წარუდგინა, სადაც მოითხოვს, რომ უკრაინელი გარდმოხვეწილები ირიცხებოდნენ ცალკე ეროვნულ ჯგუფად და განსხვავებულ იქნენ რუსებისაგან. შულგინის ქაღალდი გადაეცა შესასწავლად კომისიას, ვენეცუელას დელეგატის წინადადებით, რომელსაც მხარი დაუჭირა პოლონეთის დელეგატმა ზალესკიმ.

— კიევში კომუნისტურ პარტიის კონგრესზე სარაიონო კომიტეტის მდივანმა აღნიშნა უკრაინულ ეროვნულ მოძრაობის დიდი ზრდა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ნაციონალური სულისკვეთება მოსჩანს კომუნისტ მწერლების და პოეტების ნაწერებშიც. მდივანმა გაიხსენა ბუხარინის სიტყვები—რომ უკრაინაში კომუნისტური პარტია რუსებისა და ებრაელებისაგან შესდგებაო—და მოითხოვა, რაც შეიძლება მეტი უკრაინელი შემოვიყვანოთ კომუნისტურ პარტიაში და მედგრად ვებრძოლოთ უკრაინულ ნაციონალიზმსო.

— წელიწადზე მეტია, პრაგაში გამოდის ორკვირეული ჟურნალი «ვილნე კოზაცტვო», (ვოლნოე კაზაჩესტვო), რომელიც ემსახურება დონის, ყუბანის და თერგის კაზაკების თვითგამორკვევას და დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსების საქმეს. ჟურნალი ქადაგებს იმ აზრს, რომ კაზაკები, როგორც შტო უკრაინელებისა, წარმოადგენენ რუსებისაგან განსხვავებულ ერს, და მხარს უჭერს კასპიისა და შავიზღვების მონაპირე ერების ბლოკს წინააღმდეგ ველიკაროსებისა.

ქართული სკოლა ხარბინში *)

I.

25 ნოემბერს მოხდა ქართველთა საზოგადოების სახლში ქართული ენის უფასო კურსების გახსნა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. გამგეობის თავმჯდომარე ბ. ხაინდრავამ, გახსნა რა კრება, მიმართა დამსწრეთ სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა დიდი მნიშვნელობა ქართული ენის კურსებისა ხარბინის ქართველთათვის.

შემდეგმა ორატორებმა მიმართეს კრებას მოწოდებით ასწავლონ თავიანთ ბავშვებს დედა-ენა და ჩაუნერგონ მათ გულში მამულის სიყვარული. მერე წაკითხულ იქნა მოსალმებითი დეპეშები და წერილები ჩინეთის რკინის-გზის ლიანდაგიდან.

კურსების გახსნის აქტმა და აგრეთვე წარმოთქმულ სიტყვებმა იქონია კრებაზე დიდი გავლენა და გამოიწვია ძლიერი აღფრთოვანება დამსწრეთა შორის, რომელთაც გამოიღეს შემოწირულებები.

ჯერ-ჯერობით კურსებზე ჩაეწერა 27 ბავშვი, მათ რიცხვში რამოდენიმე ადგილობრივი ქართველი სტუდენტიც.

კრება დამთავრდა ჩაით, რომლითაც გამგეობა გაუმასპინძლდა დამსწრეთ; ბავშვებს დაურიგდათ საჩუქრები.

კიბ. კედია.

II.

25 ნოემბერი 1928 წ. ისტორიული დღეა შორეულ აღმოსავლეთის ქართველების ცხოვრებაში.

ამ დღეს საფუძველი ჩაეყარა ქართულ სკოლას, მოხდა ქართული საკვირაო სკოლის საზეიმო გახსნა.

კვირას 25 ნოემბერს, ეროვნულ დროშებითა და ჩვენი საზოგადო მოღვაწეთა სურათებით მორთულ ქართულ საზოგადოების შენობების ერთ-ერთ დარბაზში შეიკრიბნენ განსაკუთრებულ ბარათებით მოწვეული საზოგადოების წევრები თავ-თავიანთ ბავშვებით. საზეიმო კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარე ბ. ხაინდრავამ, რომელმაც მოკლე სიტყვით გააცნო დამსწრეთ შეკრების მიზეზი.—ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამავე სკოლის მომავალ მასწავლებელმა ბ. კირილე კედიამ. მან რუსულ ენაზე განუმარტა დამსწრე დედებს (დიდმა ნაწილმა ქართული არ იცის) და მამებს ქართული ენის შესწავლის აუცილებლობა. დაახასიათა ქართული ენის სიდიადე, მისი შესწავლის მნიშვნელობა ხარბინში მომწყვდეულ ქართველ ბავშვებისათვის და მოუწოდა, რომ ის, რასაც ბავშვები სკოლაში თეორიულად გაივლიან, პრაქტიკულად გატარებულ იქმნას ოჯახში. კრების დასასრულ წაკითხული იქმნა სხვადასხვა პირებიდან მიღებული წერილები და დეპეშები.

მიუხედავად იმისა, რომ გამგეობას არავითარი განძრახვა არ ქონდა რაიმე კითხვა აღეძრა შემოწირულების შესახებ, ეს მაინც მოხდა. დამსწრე საზო-

*) ამ საგანზე მივიღეთ ორი კორესპონდენცია—ვბეჭდავთ ორთავეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადოებიდან ბ. კუჭუხიძემ განაცხადა, რომ მას შემოაქვს სკოლის სასარგებლოდ 100 მექსიკანური დოლარი. დიდი სიხარული და მხიარულება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ შემოწირულების შესახებ შეიქნა შეჯიბრება, ერთმანეთს ეცილებოდენ, თუ ვინ უფრო მეტს შესწირავდა. ამ რიგად სრულიად მოულოდნელად შეგროვილ იქნა 600 დოლარი.

მეცადინეობა იწარმოებს მხოლოდ უქმე დღეებში, ვინაიდან დიდი უმრავლესობა სწავლობს სხვადასხვა სასწავლებლებში. უეჭველია მოსწავლეთა რიცხვი კიდევ გაიზრდება.

ვუსურვებთ ხელმძღვანელებს გამარჯვებას და ენერგიას და ჩვენს სკოლას წინსვლას.

შემომწირველთა სია: ნ. მასხულია 110 დოლარი, კუჭუხიძე 100 დ., ჩხაიძე 100 დ., ბებიაშვილი 50 დ., თოდუა 60 დ. (ყოველწლიურად), ხაინდრავა 25 დ., გაგუა 20 დ., ბარამიძე 20 დ., ფიჩხაია 15 დ., ღლონტი 10 დ., ხარბედია 10 დ., შოთაძე 10 დ., დადიანი 10 დ., კობახიძე 10 დ., თოიძე 10 დ., ხუნდაძე 10 დ., ურუშაძე 9 დ., ილ. მხეიძე 5 დ., რევია 5 დ., გეგენავა 5 დ.

იმედია არც სხვა ქართველები მოაკლებენ ყურადღებას ამ დიდ ეროვნულ საქმეს, ქართული ენის შესწავლის საქმეს.

დ. ბოლქვაძე.

† ძმა სტან. შიხინაშვილი

21 იანვარს 1929 წ. მივაბარეთ მიწას სტამბოლის ქართველობამ სტანისლავ შიხინაშვილი. მოკვდა მისი სხეული, მაგრამ დარჩა მისი პატრიოტული სახელი. ის იყო გულით და სულით ქართველი, პატიოსანი და კეთილი მამულიშვილი, მისი გონება მუდამ წამს საქართველოსკენ იყო მიპყრობილი. მრავალჯერ ჩემს ყურებს უსმენია ძმა შიხინაშვილის სიტყვები: ოღონდ ერთხელ კიდევ მეღირსოს ნახვა იმ ჩემ ქვეყნისა, ჩემ მშვენიერ ტფილისის, დამოუკიდებელი საქართველოსი! განსვენებულის ნატვრა მუდამ ეს იყო, მაგრამ ბედმა უმტყუნა, არ აუსრულდა გულის წადილი: ვერ შესძლო მისმა სუსტმა სხეულმა ძლიერი ოპერაციის გადატანა და სამუდამოთ დასტოვა ვეს ქვეყანა. X

შემოწირულება.

საქართველოს სოც.. დემ. მუშ. პარტიის საზღვარგარეთელ ბიურომ მიიღო პოლიტიკურ გადასახლებულთათვის:

ჩეხო-სლოვაკიაში მცხოვრებ ქართველ-ემიგრანტებისაგან კიდევ (ნოემბრის, დეკემბრის და იანვრის) ოთხას სამოცი კრონა (460 კრ.). წინათ გამოცხადებულ შემომწირველთა სიას მიემატა უკრაინელი ამხ. კალისტრატე—20 კრ.; წინანდელ სიაში შეცდომით აღნიშნულიიყო დ. ჩხეიძე, უნდა იყოს დ. ჩხიკვაძე.

ოდენკურიდან კიდევ ოთხას სამოცდა თუთხმეტი ფრ. (475 ფრ.).

კრეზოში მომუშავე ქართვ. ახალგ. სოც.-დემოკრატებისაგან ოცდა თუთხმეტი ფრ. (35 ფრ.).

ქართველები საფრანგეთში.

იანვრის 27-ს (ძველი სტილით ნინოობა) პროფ. ე. თაყაიშვილმა პარიზის მრავალრიცხოვან ქართველ საზოგადოების წინაშე წაიკითხა მოხსენება წმ. ნინოსა და ჩვენი ერის გაქრისტიანების შესახებ. მოხსენება გაგრძელდა ორ საათს, მაგრამ იმდენად საინტერესო იყო, რომ დამსწრე საზოგადოება შეუწყვეტელის ყურადღებით ისმენდა ბოლომდის. მომხსენებელი მხურვალე ტაშით იქნა დაჯილდოვებული.

განცხადება.

21 ოქტომბერს, 1928 წ. პარიზში შესდგა საქართველოს მართლ-მადიდებელ ეკლესიის საფრანგეთში მყოფ წევრთა სასულიერო ინტერესების კომიტეტი. კომიტეტი იმყოფება მსოფლიო პატრიარქის, უმაღლეს მართლმადიდებელ ავტორიტეტის, მფარველობის ქვეშ. კომტეტის წევრნი არიან: ქალბატონები ელენე აფხაზისა და ანასტასია წერეთლისა და ბ. ბ. ზურაბ ავალიშვილი, ილამაზ დადეშკელიანი, იოსებ დადიანი, დავით სხირტლაძე, ოისებ კემულარია, იაკობ ხოჭოლავა, ექვთიმე თაყაიშვილი და ლევან ზურაბიშვილი.

კომიტეტის პირველი მიზანი არის პარიზში ქართულ მართმადიდებელ ეკლესიის და მასთან საკვირაო სკოლის დაარსება და საზოგადოთ საფრანგეთში მყოფ ქართველ მართლ-მადიდებელთ ზნეობრივ და გონებრივ ინტერესების სამსახური.

ყველა იმ ქართველმა, ვინც თანაუგრძნობს ამ დიად საქმეს და მომავალ მრევლში შესვლას აპირობს, კეთილ ინებოს და მიმართოს ქვემო მოყვანილ ფორმის განცხადებით კომიტეტის რომელსამე დელეგატს:

ან ბ-ნ ილამაზ დადეშკელიანს
4 rue Récamier. Paris. 7.

ან ბ-ნ იოსებ კემულარიას
4-bis, rue de Morillons. Paris. 15.

ან ბ-ნ ლევან ზურაბიშვილს
20, rue Berthollet. Paris. 5.

განცხადების ნიმუში.

მე (სახელი, გვარი, წლოვანება), მცხოვრები (სრული მისამართი) ამით ვაცხადებ, რომ მე ვარ მართლ-მადიდებელი და ვეკუთვნი საქართველოს მართლ-მადიდებელ ეკლესიას; მე თანაუგრძნობ საფრანგეთში მყოფ ქართველ მართლ-მადიდებელთაგან მრევლის შექმნის და ამ მრევლისათვის პარიზში თავის ეკლესიის აგების აზრს: ამ აზრის განხორციელებას დავეხმარები ჩემის შეძლების და მდგომარეობის მიხედვით.

[ხელის მოწერა]

ფოსტა.

ბ. ბოლქვაძეს ხარბინში: ქართულ წიგნების და გამოცემების ფული სავსებით მიღებულია.

Rédaction et Administration.
M. J. GOBETCHIA
7, rue de Ponthieu, 7. Paris.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.